# მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

# 2023-2026 წლები

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მესტია დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში მდებარე მუნიციპალიტეტია. მას, ისევე როგორც მთლიანად სვანეთს, უძველესი ისტორია აქვს. მესტია გამორჩეულია საოცარი, ულამაზესი ბუნებითა და კულტურული ძეგლების სიმრავლით. მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილია უძველესი კულტურითა და მკვეთრად გამოხატული იდენტობით. იგი უამრავ ტურისტს იზიდავს. ქართული ეთნო-კულტურის მნიშვნელოვანი ნიმუშია სვანური კოშკი, რომელიც გვხვდება როგორც საცხოვრებელ მაჩუბზე მიდგმული, ასევე ცალკე მდგომი. გრანდიოზული მწვერვალების ფონზე შეფენილი კოშკოვანი სოფლები დაუვიწყარ კადრებად რჩება მნახველის მეხსიერებაში. გამორჩეულია სვანური ტაძრები, მათი მოხატულობა და ჭედური თუ ფერწერული ხატების შესანიშნავი ნიმუშები. განსაკუთრებით ცნომილია უშგულის ლამარია და კალის წმ. ივლიტასა და კვირიკეს მონასტერი, სადაც მეფის მხატვარ თევდორეს მხატვრობაა. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიინახება უნიკალურიოთხთავები, ხატები, სამკაულები, ტრადიციულ სამოსი და სხვადასხვა საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო ექსპონატები. მესტიის მუნიციპალიტეტის ბუნება ძალიან მდიდარია ულამაზესი ადგილებით.

**ფართობი**

ფართობის მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია საქართველოში და შეადგენს 3044.5 კვ.კილომეტრს. მათ შორის 94.092 კვ.კმ. წყლით არის დაფარული.

## გეოგრაფია და კლიმატი

მესტიის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, სამგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მდებარეობს. მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა მესტია. იგი მოიცავს ზემო სვანეთის ტერიტორიას, მდინარე ენგურის ხეობას ენგურის სათავიდან სამეგრელოს საზღვრამდე და მისი შემადგენელი ადმინისტრაციული ერთეულებია: დაბა მესტია, ბეჩო, ეცერი, იდლიანი, იფარი, კალა, ლახამულა, ლატალი, ლენჯერი, მულახი, ნაკრა, უშგული, ფარი, ცხუმარი, წვირმი, ჭუბერი, ხაიში. ზემო სვანეთი ბალის ქედით იყოფოდა ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთად.ადრე ბალს ქვემო სვანეთი დადეშქელიანების სამფლობელო იყო, ბალს ზემო სვანეთი კი თავისუფალ სვანეთად იწოდებოდა. მესტიის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია რაიონში 200-მდე მყინვარია, მათ შორისაა საქართველოს უმაღლესი მწვერვალი შხარა. მესტიის მთავარი მდინარეა ენგური, მისი შენაკადებია — ადიშისჭალა, მულხურა, დოლრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურა და სხვა.
ზემო სვანეთში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია და გრძელი, ხოლო ზაფხული ხანმოკლე, თბილი და ზოგჯერ ცხელიც.

### მმართველობის ორგანოები:

მესტიის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელიხელისუფლებასახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ)-ის მეშვეობით.

### მოსახლეობა

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 11 456კაცია.სიმჭიდროვე —3.7კაციკვ.კმ-ზე. მუნიციპალიტეტშიმდებარეობს 1 დაბა და 17 ტერიტორიული ერთეული რომელთა შემადგენლობაში შედის 160 სოფელი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან 5853 ქალბატონია, ხოლო 5603 მამაკაცი. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,3%-ია,

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია-981 6 წლამდე ბავშვი, 2919 6-დან 18 წლამდე მოზარდი,2109 პენსიონერი, 6262სოციალურად დაუცველი სტატუსისმქონე პირია, მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი 2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე მიენიჭა 7853 მოქალაქეს.



აღმასრულებელი

**საჯაროდაწესებულებები**

მესტიისმუნიციპალიტეტშიფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 22 საჯარო სკოლა, სადაცსწავლობს 2900მოსწავლე;
- 21საბავშვობაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 550 ბავშვი;
- კულტურის სახლებში - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 1200 აღსაზრდელი;
- 1 საშუალოპროფესიულისასწავლებელი;

- 15 ბიბლიოთეკა;
- ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორისთეატრი;
- მუზეუმები;
- სპორტული ცენტრიები;
- ანსამბლი რიჰო
- სალოტბარო სკოლა
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი ბანგურიანი

### ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის წამყვანიდარგია ტურიზმი დასოფლისმეურნეობა, ძირითადმეკარტოფილეობა და მეცხოველეობა.
აღსანიშნავიამუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამთო სათხილამურო კურორტები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავს ტურისტებს

**შემოსავლები:**

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისერთერთი კომპონენტი არის 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადეის გაერკვეული ნაწილი მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. ასევე გაიზარდა ქონების გადასახადებიდან შემოსავლები და სხვა შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გომოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 37 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

| მესტიისმუნიციპალიტეტისმონაცემებისშედარებაქვეყნისადარეგიონისმონაცემებთან 2022 წლისმონაცემებისმიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) | გადასახდელები (ათასლარებში) |
| სულსაქართველო | 3,728,573.00 | 69,700.00 | 19,678,671.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამეგრელო-ზემო სვანეთისრეგიონი | 330761 | 7.500 | |
| მესტიისმუნიციპალიტეტი | 11456 | 3044 | |
| პროცენტისაქართველოსთან | 0.3 | 4,3 | |
| პროცენტირეგიონთან | 3.4 | 40 | |

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მეორე ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები.კერძოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის ტანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. გადასახდელების ნაწილის დაგეგმისას ასევე გათვალისწინებულია "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი"-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაცია, რაც გულისხმობს 2023 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგო 1 180 ლარის ოდენობით განისაზღვრას.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

| ბიუჯეტისძირითადიმაჩვენებლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2021წლის ფაქტი | 2022წლის გეგმა სულ | 2023წლის პროგნოზ ი, საკუთარი | 2024წლის პროგნოზ ი საკუთარი | 2025წლის პროგნოზ ი საკუთარი | 2026წლის პროგნოზ ი საკუთარი |
| **შემოსავლები** | **27689.51** | **25509,2** | **18735.60** | **19672.38** | **20656.00** | **21895.36** |
| **გადასახადები** | **15077.07** | **15691.4** | **17000.30** | **17850.32** | **18742.83** | **19867.40** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 10291.12 | 12750 | 155.00 | 162.75 | 170.89 | 181.14 |
| სხვა შემოსავლები | 2321.33 | 1800 | 1580.30 | 1659.32 | 1742.28 | 1846.82 |
| ხარჯები | 13440.9 | 15235.39 | 16080.41 | 16884.43 | 17728.65 | 18792.37 |
| საოპერაციო სალდო | 14248.6 | 15006.01 | 2655.19 | 2787.95 | 2927.34 | 3102.99 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 20440.2 | 19732.65 | 2372.78 | 2491.42 | 2615.99 | 2772.95 |
| ზრდა | 20440.2 | 19732.65 | 2372.78 | 2491.42 | 2615.99 | 2772.95 |
| კლება | 0 | 0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| მთლიანი სალდო | -7650.96 | -4726.64 | 282.41 | 296.53 | 311.35 | 330.04 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -7903.46 | -5006.65 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება | 7903.46 | 5006.65 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალდებულებების ცვლილება | -252.5 | -280 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| კლება | 252.5 | 280 | 0.00 | 0.00 | | |
| საშინაო | 252.5 | 280 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ბალანსი | (0.00) | (0.00) | 0.00 | 0.00 | 0.00 | |

მუნიციპალიტეტის 2022 წლის 1 იანვრისთვის გადმომავალი ნაშთი 5006.6 ათ ლარია, რაც შედგება სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი განკარგულებების გადმომავალი გაუხარჯავი ნაშთისგან 750 ათ. ლარი საკუთარი სახრებიდან გადმომავალი ნაშთი 4 256 ათასი ლარი

## 2.2გასული 2021 წლის და მიმდინარე 2022წლის ბიუჯეტის შესრულება

### 2021 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 22 დადგენილებით და განისაზღვრა 11 888.2 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ასევე ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ეკონომიკის ფუნქციონირებაში გამოწვეული შეფერხებების შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებას

განხორციელებული ცვლილებებისშედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 34 925.2 ათასი ლარი,

მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) გეგმა განისაზღვრა 27 021.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 689.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102%-ი. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 15 077 ათასი ლარი, რაც გეგმის 14 936 ათასი ლარის 101%.კერძოდ:დამატებული ღირებულების გადასახადი-5034.7 ათასი ლარი. ქონების გადასახადიდან მიღებულია 10 042 ათასი ლარი, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი - 8 160 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა) -6.4 ათასი ლარი,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -15,7 ათასი ლარიარასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 1 860 ათასი ლარი,

გრანტების სახით მიღებულია 10 291.2 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჯანდაცვის სამსახურისთვის) – 65 ათასი ლარი, სამხედრო სამსახურისთვის 60 ათ ლარი, სკოლების მოსწავლეთა და სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაციისატვის -704.7 ათ.ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 9 435.8 ათასი ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები -25.7 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2 321.3ათასი ლარი, რაც გეგმის 1 746.4 ათასი ლარის 132%-ია.

ათასი ლარი

| დასახელება | 2021 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % |
| **შემოსავლები** | **27021.7** | **27 689.5** | **667.8** | **102** |
| გადასახადები | 14936.3 | 15077 | 140.7 | 100.9 |
| გრანტები | 10339 | 10291.2 | -47.8 | 99.5 |
| სხვაშემოსავლები | 1746.4 | 2321.3 | 574.9 | 132 |

2021 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 7 903.4 ათასი ლარი, ხოლო 2021წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5 006.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 31 020,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (34 925,2 ათასი ლარი) 89%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 6 607,3 ათასი ლარით.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი




მესტიის მუნიციპალიტეტის2021 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

| მესტიის მუნიციპალიტეტის 2021წლისბიუჯეტებისხარჯებისსტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| დასახელება | 2021 წელი | |
| საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება | 4993.8 | 16.2 |
| თავდაცვა | 96.4 | 0,3 |
| ეკონომიკურისაქმიანობა | 18394.9 | 59.8 |
| გარემოსდაცვა | 1573.1 | 5,1 |

| | | |
|---|---|---|
| საბინაო-კომუნალურიმეურნეობა | 761.8 | 2.4 |
| ჯანმრთელობისდაცვა | 155,7 | 0,5 |
| დასვენებადაკულტურა | 1917.9 | 6.2 |
| განათლება | 2192.2 | 7.1 |
| სოციალურიდაცვა | 788.1 | 2.5 |
| **სულხარჯები** | **31020** | 100.0 |

2021 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 31 020 ათასი ლარი, რაც გეგმის (34925.2ათასი ლარი) 94 %-ია. მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება-5236.3 ათასი ლარი, რაც გეგმის(5575.8 ათასი ლარი)93%-ია.
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 18 764 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 014.8 ათასი ლარი) 85%-ია.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 573.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 573,3 ათასი ლარი) 99.9%-ია.
- განათლება - 2 193.5 ათასი ლარი, რაც გეგმის(2497.6 ათასი ლარი)87.8%-ია.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2 025.2 ათასი ლარი, რაც გეგმის(2 302.3 ათასი ლარი) 87.9%-ია.
- ჯანმრთელობის დაცვა დასოციალური უზრუნველყოფა - 943.9 ათასი ლარი, რაც გეგმის(961.3 ათასი ლარი)98%-ია.

**1.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)**

**საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5 236,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5 575,8 ათასი ლარი) 94 პროცენტია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 923,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3 833,6 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 96,4 ათასი ლარი 2. მესტიის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი(ორგ.კოდი 01 03) წარმოდგენილი იყო 497,6 ათასი ლარით, რომელიც გამოყოფილ და ათვისებულ იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 371,7 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 242,5 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 129,3 ათასი ლარი.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობასან (covid19) დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეიქმნა „საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახარჯული იქნა 11,4 ათასი ლარი.

## 2.ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

**ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 19 050,0 ათასი ლარით, რაც** გეგმის 87 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 22 014,8 | 19 050,0 | 87 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება გზა და ხიდები | 14 328,6 | 12 631,5 | 88 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 976,7 | 761,9 | 78 |
| 02 02 01 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 310,0 | 265,1 | 86 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 666,7 | 496,8 | 75 |
| 02 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 3 635,2 | 2 923,5 | 80 |
| 02 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 369,6 | 329,8 | 89 |
| 02 05 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2 704,7 | 2 403,4 | 89 |

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. პრიორიტეტის ფარგლრბში განხორციელდა:

სოფ.წვირმის, ეცერისდალენჯერის 5 კმსაერთოსიგრძისგზებისმშენებლობა,
სოფ. ცხუმარის გზის მშენებლობა
ადგილობრივიგზებისმოვლაპატრონობადა გზების საყრდენიკედლებისმშენებლობა,
2021 წელსსოფელჭუბერშიაშენდადევრასთანდამაკავშირებელიხიდი,
იდლიანისდაკიდულიხიდისმშენებლობა,
მესტიისმუნიციპალიტეტშიმოსახლეობისსასმელიწყლითუზრუნველყოფისგაუმჯობესებისმიზნითშეძენილიქნადამოსახლეობასგა დაეცაწყლისმილები. დაიწყოსოფელადიშისწყალგაყვანილობისადასაკანალიზაციოსისტემებისმშენებლობა,
მოწესრიგდალატალშისოფელიენაშიწყლისსისტემა.
2021 წელსმესტიისმუნიციპალიტეტისსხვადასხვასოფლებშისტიქიისშედეგებისთავიდანაცილებისმიზნითგანხორციელდაღელეებისსაპ რევენციოგანტვირთვადადამცავიჯებირებისმშენებლობა,
ცხოვრებისჯანსაღიწესისდანერგვისადასპორტულიინფრასტრუქტურისგანვითარებისმიზნითდაფინანსდასპორტულიმოედნებიაშე ნდასოფელლატალსადაფარში, სარემონტოსამუშაოებიჩაუტარდად.მესტიისსპორტულკომპლექსს.
დ.მესტიაში ქუჩების კეთილმოწყობა
მოსახლეობისსრულიჩართულობითდასოფლისსაჭიროებიდანგამომდინარეშერჩეულიპრიორიტეტებისშესაბამისადდამტკიცებულიინფრ ასტრუქტურულიპროექტებისგანხორციელებასმოხმარდაასევესაქართველოსმთავრობისმიერსოფლისმხარდაჭერისპროგრამისფარგლებში გამოყოფილი 1 534 000 ლარი, რომელსაცთანადაფინასებისსახითმუნიციპალიტეტისადგილობრივიბიუჯეტიდანდაემატა 872 657 ლარი.

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (ორგანიზაციული კოდი 03 00)**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1078,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,3 პროცენტია.
აღნიშნულიპრიორიტეტისფარგლებშიორგანიზაციაახორციელებსმუნიციპალიტეტისმაშტაბითდასუფთავებასდაკეთილმოწყობას .
აღნიშნულიპროგრამიდანგასულწელსგანორციელდა :

- ააიპ - მესტიისმუნიციპალიტეტისმერიისდასუფთავებისდაკეთილმოწყობისსამსახურისმიმდებარეტერიტორიაზეეზოსშემოღობვ ადაშენობებისგადახურივისსამუშაოებისშესყიდვა,
- მესტიისმუნიციპალიტეტშიდ. მესტიაშირუსთაველისქუჩაზეგზისსაყრდენიკედლებისმშენებლობისსამუშაოებისშესყიდვა.
- მესტიისმუნიციპალიტეტშიდ. მესტიაშისხვადასხვაობიექტებისკეთილმოწყობისსამუშაოებისშესყიდვა.

➢ შეძენილიქნასპეცტექნიკა-ტრაქტორი , მისაბმელიანიგადამზიდიდაბენზოგენერატორი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **03 00** | დასუფთავება და გარემოს დაცვა | **1,573,4** | **1,573,1** | **100** |
| 03 01 | აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური" | **1,573,4** | **1,573,1** | **100** |

**4.განათლება**

**ა) ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (ორგანიზაციული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტიუზრუნველყოფსსკოლამდელიაღზრდისდაწესებულებებისშეუფერხებელიფუნქციონირებისათვისსაჭიროფინანსებისგამოყოფასდაყველასხვაღონისძიებისგატარებას. მესტიისმუნიციპალიტეტისერთ-ერთძირითდპრიორიტეტსსწორედმუნიციპალიტეტშიმცხოვრებისაბავშვობაგა-ბაღისასაკისბავშვებისათვისსკოლამდელიაღზრდისდაწესებულებებისხელმისაწვდომობაწარმოადგენს. აღნიშნულიპროგრამისფარგლებშიგანხორციელდებაბავშვთამეთვალყურეობა,მათიჯანმრთელობისადასიცოცხლისდაცვა,ასაკობრივიჯგუფებისმიხედვითსწავლებისდონის,შესაბამისიპროგრამების,სასწავლოდამეთოდურიმასალებისგანსაზღვრა;სრულფასოვანიკვება,შენობებისინფრასტრუქტურისმოწესრიგებადათანამედროვეტექნოლოგიებითაღჭურვა, კოვიდრეგულეციებისშესაბამისიღონისძიებებისგატარება. მესტიისსკოლამდელიაღზრდისდაწესებულებებისგაერთიანებაშიშედის 24 საბ.ბაღი.სადაცირიცხება 165 პერსონალიდა 455 აღსაზრდელი (რეალურიგამოცხადებაშეადგენს 300-330 ბავშვს)სკოლამდელიაღზრდისდაწესებულებებისფუნქციონირების

პროგრამისმიზანია: ბაგა-ბაღებშისრულფასოვანისააღმზრდელოგარემოს ,ბაგა-ბაღებშისანიტარულიდაჰიგიენურინორმებისდაცვა, მესტიისმუნიციპალიტეტისსკოლამდელიაღზრდისდაწესებულებებისააღმზრდელოპროცესისწარმართვისათვისუზრუნველყოფილიიქნებაშესაბამისიპირობებით, მათშორის:

სააღმზრდელოდაწესებულებებშიდაცულიქნებასაქართველოსმოქმედიკანმდებლობითდადგენილისტანდარტებისუმეტესობა, დაცულიიქნებასანიტარულიდაჰიგიენური, კვებისორგანიზებისადაკვებისრაციონისნორმები; სააღმზრდელოდაწესებულებებშიდაა(ა)იპსკოლამდელიაღზრდისდაწესებულებაშიდასაქმებულიადმინისტრაციულიდასააღმზრდელოპერსონალიუზრუნველყოფილიიქნებასამუშაოპირობებით.

**ზ) საჯარო სკოლების დაფინანსება (ორგანიშაციული კოდი 04 01)**

**პროგრამის ფარგლებშიხორციელდა:**

- საჯაროსკოლებისთანადაფინანსება.
- მოსწავლეებისტრანსპორტირების.
- საჯაროსკოლებისინფრასტრუქტურისმოწყობა.

შედეგადვიღებთმოსწავლეებისუსაფრთხოგადაადგილებისუზრუნველყოფასდასკოლებშიგაუმჯობესებულინფრასტრუქტურას.

**5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2 024,7ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 302,3 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 88 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 819,6 ათასი ლარი,ბიბლიოთეკებისდაფინანსებას 87,2 ათასილარი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებას 77,5 ათასი ლარი, ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის დაფინენსებას -790,5 ათასი ლარი, აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან -ლანდის დაფინანსებას-106,8 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებას--143,0 ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **2 302,3** | **2024,7** | **88** |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 850 597 | 819 638 | 96 |
| 05 01 01 | სპორტული სკოლების გაერთიანება | 850 597 | 819 638 | 96 |
| 05 02 01 | ბიბლიოთეკების დაფინანსება | 88,000 | 87,225 | 99 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 217,300 | 143,060 | 66 |
| 05 05 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 103,000 | 77,484 | 75 |
| 05 06 | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | 797,040 | 790,513 | 99 |
| 05 07 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 246,400 | 106,812 | 0.43 |

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2021 წელს პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები. „ქვეყანაში გავრცელებულმა COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო შეიზღუდა აღნიშნული ღონისძიებების განხორცილება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გეგმით გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობა.

**ა) სპორტული სკოლების გაერთიანება (ორგანიზაციული კოდი 05 02 01)**

აღნიშნული პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სპორტული სახეობებში მოზარდების ჩართვა. მოზარდები ეუფლებიან შემდეგ სპორტულ სახეობებს: ჭიდაობა, ძიუდო,ჭადრაკი,მკლავჭიდი,სათხილამურო სპორტი და აშ.

**ბ) ბიბლიოთეკების გაერთიანება (ორგანიზაციული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამისფარგლებშიფინანსდებამესტიისმუნიციპალიტეტისტერიტორიაზე 15 ბიბლიოთეკა.

მუნიციპალიტეტის 15 ბიბლიოთეკაშიწიგნისფონდიშეადგენს 76 500 ერთეულს.ბიბლიოთეკებისმომსახურებითსარგებლობსმუნიციპალიტეტისდაახლობით 3000 მოსახლე. ქვეპროგრამისმიზანია - საბიბლიოთეკოფონდებისშეგროვება, აღრიცხვა–დამუშავებადასაკატალოგომეურნეობისწარმოებასსაბიბლიოთეკოწესებისშესაბამისად, მათიდაცვისუზრუნველყოფა;

ქვეპროგრამისმიზანიასევეჩატარდესლიტერატურულისაღამოები, შემეცნებითიდისკუსიები,

მთავარიმიზანიამოსახლეობისცნობიერებისამაღლება, ჩართულობისადადაინტერესებისზრდა. საბიბლიოთეკოფონდისზრდა, რომდავაინტერსოთმკითხველიდაავამაღლოთცნობიერებისდონე.

**გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება(ორგანიზაციული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებშიცგანხორციელდაშემდეგიღონისძიებები:

- პირველკურსელთათანადაფინანსება - მუნიციპალიტეტშირეგისტრირებულიყველაპირველკურსელიფინანსდებაერთჯერადად 1000 ლარისოდენობით 2021 წელსდაფინანსდა 77 სტუდენტი.
- არქეოლოგიურიექსპედიცია - სვანეთისმასშტაბითხორციელდებასასწავლო– სამეცნიეროექსპედიციები, რისშედეგადაცვლინდებამნიშვნელოვანიარქეოლოგიურიძეგლები, რომელსაცახორციელებსივ. ჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის, ჰუმანიტარულმეცნიერებათაფაკულტეტის, არქეოლოგიისინსტიტუტისექსპედიციაპროფესორზვიადკვიციანისხელმძღვანელობით.

ღონისძიებისშედეგადარქეოლოგიურიექსპედიციისმიერგანხორციელებულისამუშაოებისშედეგადგამოვლენილიამნიშვნელოვანიარქეოლოგიური ძეგლებირომლებიცინახებასვანეთისისტორიისადაეთნოგრაფიისმუზეუმში. სამომავლოდკვლევისმიზანია, შეიქმნასისტორიულისვანეთისარქეოლოგიურძეგლთანუსხათავისირუქით.

- ეტალონი - საქართველოსმასშტაბითყველაზეპოპულარული, ინოვაციურისაგანმანათლებლო-შემეცნებითიპროექტი ,,ეტალონი“ მე–8 წელიაუწყვეტადგანაგრძობსმთელისაქართველოსმასშტაბითნიჭიერიმამულიშვილიახალგაზრდებისაღმოჩენასდაწახალისებას) გამოვლინდამესტიის ,,ეტალონიმოსწავლე“
- ,,ეტალონიგანათლება“ - პროექტი ,,პირველკლასელთააკადემია“ გათვლილიასკოლამდელიასაკისბავშვებისთვის, რომელიცმოიცავსაქტივობებსბავშვისშემეცნებისდააზროვნებისგანვითარებას.
- ,,ლეიკემიითდაავადებულიბავშვებისდაფინანსება“ - სხვადასხვააქტივობებისმხარდაჭერა.
- სასკოლოსპორტულიოლიმპიადა - საქართველოსბავშვთადასასკოლოსპორტისეროვნულიფედერაციაახორციელებსპროგრამას ,,საქართველოსსასკოლოსპორტულიოლიმპიადა“–ს. აღნიშნულპროგრამაშიჩართულიასაქართველოსმასშტაბითმრავალიმუნიციპალიტეტი. მუნიციპალურდონეზეთამაშებისორგანიზებადაფინანსურიმხარდაჭერახდებამერიისშესაბამისისამსახურისმიერ. ოლიმპიადისთამაშიშედგება 4 ეტაპისაგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალურიდადასკვნითითამაშები. აღნიშნულაქტივობებშიყოველწლიურადიზრდებაბენეფიციართარაოდენობა.

პროექტისშედეგადვლინდებაგამარჯვებულიგუნდებირომლებიცმონაწილეობასღებულობენსაქართველოსმასშტაბითდასკვნითთამაშებში

- სასკოლოსაგანმანათლებლოპროექტებისთანადაფინანსება - მოსწავლეთასრულფასოვანიგანათლებისთვისმნიშვნელოვანიაფორმალურიგანათლებისშესაძლებლობებისგაფართოება. სკოლებისჩართვასხვადასხვადამატებითაქტივობებშიუფროსაინტერესოსგახდისსასწავლოპროცესს, ასევეაამაღლებსმოსწავლეთამოტივაციას.

შედეგადხდებიანმეტადმოტივირებულიდაუყალიბდებათჯანსაღიკონკურენციისუნარი.

**დ) აიპ კულტურულიმემკვიდრეობისდაცვისცენტრი (ორგანიზაციული კოდი 05 05)**

აღნიშნული პროგრამის არსი არის : მემკვიდრეობითიძეგლებისაღრიცხვა,რესტავრაციადაშენარჩუნება,

შედეგი -მემკვიდრეობითიძეგლებისდაცვადაშენარჩუნება

**ე) ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"(ორგანიზაციული კოდი 05 06)**

მესტიისმუნიციაპლურიკულტურისცენტრშიგაერთიანებულიამუნიციაპალიტეტისტერიტორიაზემოქმედიშვიდიკულტურისსახლი, საბავშოსტუდია.

ორგანიზაციაშიფუნქციონირებსსახელოვნებოსკოლასადაცმოზარდებსშეუძლიათდაეუფლონსხვადასხვასახელოვნებოსპეციალობას(გობელინიხატვადაა.შ)’

აღნიშნულანსაბლებსადაწრებშიმონაწილეობსდაახლოებით 60 ბავშვი.

პროგრამისმიზანიამესტიისკულტურისდახელოვნებისცენტრშითეატრალურიმიმართულებისდანერგვა, ახალგაზრდობისჩართულობადაადგილობრივმოსახლებაშიაღნიშნულიმიმართულებითცნობიერებისამაღლება. პროგრამისფარგლებშიგანხორციელდებაპერფორმანსიორმაგიპროექციით, კინოსელემენტებით, ქვიშისმხატვრობითდაცოცხალიგახმოვანებითგადმოგვცემსვაჟაფშაველასნაწარმოების ,,სტუმარ-მასპინძელი'' შინაარსს. პროგრამისფარგლებშიდაგეგმილიაშემდეგიღონისძიებები: 1.რუბრიკა ,,სვანურიენისქრესტომათია. 2. 3 მარტი ,,დედისდღე''. 3. პერფორმანსი ''სტუმარ-მასპინძელი''. 4.სპექტაკლი ,,ბეთქილ'' 5. სპექტაკლი ,,უშბადათეთნულდი'' 6. 26 მაისისაქართველოსდამუკიდებლობისდღე. 7. ანსამბლ ,,რიჰო''-სკონცერტებიმესტიისკულტურისდახელოვნებისცენტრში. 8. კინოჩვენებები. 9. მესტიისმოკლემეტრაჟიანიდამთისფილმებისსაერთაშორისოფესტივალი. 10. ,,სვანეთობა 2022'' 11 ,,ბავშვთადაცვისსაერთაშორისოდღე''

**ვ) აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან -ლანდ(ორგანიზაციული კოდი 05 07)**

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას და სვანეთის პოპულიზაციას მსოფლიო ბაზარზე,

შედეგად ვიღებთ ტურიზმის განვითარებას.

პანდემიის პირობებში ორგანიზაციამ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განახორციელა, რამაც გამოიწვია 2021 წლის ბიუჯეტიდან გეგმის აუთვისებლობის 30% -იანი მაჩვენებელი.

**6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 943,9 ათასი ლარის ოდენობით დაგეგმილი თანხის (961,3)98%-ით .

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **06 00** | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **961,3** | **943,9** | **98** |
| **06 01** | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 68,508.00 | 68,051.08 | 99 |
| **06 02** | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 354,100.00 | 350,342.70 | 99 |
| 06 02 01 | ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 34,600.00 | 34,600.00 | 100 |
| 06 02 02 | მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა | 313,000.00 | 309,792.70 | 99 |
| 06 02 03 | ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა | **6,500.00** | **5,950.00** | **92** |
| **06 03** | მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | **223,142.00** | **222,572.83** | **1.00** |
| 06 04 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | **168,845.00** | **167,000.00** | **99** |
| 06 05 | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 87,8 | 87,7 | 100 |
| 06 06 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | **56,900.00** | **48,221.00** | **85** |
| 06 07 | ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა | 2000 | 0 | 0 |

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე.

ბ) ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (ორგ.კოდი 06 02 01)

ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა

რომელშიც შედის :მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლისასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლისასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი)დახმარების

ქვეპროგრამა;ახალშობილებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა ;მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა;მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა

პროგრამის განხორციელების შედეგად ხორციელდება გარკვეულწილად ხელშეწყობა სამიზნე ჯგუფის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

**გ) მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა (ორგ.კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის აღწერა და შედეგი:

სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე (მათ შორის, შშმ პირის) პირების სოციალური დაცვა (პ/კ-06 02 02) სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე (მათ შორის, შშმ პირის) პირების სოციალური დაცვის პროგრამა ;

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველის სტატუსის ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფებისდიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული სამედიცინომომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100 -ისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისის) მიხედვით

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან იძულებით გადაადგილებული პირის -(დევნილი), მძიმე ავადმყოფის, დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში.

**დ) ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალურიდაცვა(ორგანიზაციული კოდი 06 02 03)**

ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალურიდაცვახანდაზმულების (90 წელიდაზემოთ) ერთჯერადიმატერიალური (ფულადი) დახმარებისქვპროგრამაა ;საქართველოსტერიტორიულიმთლიანობისთვისბრძოლისადასამშვიდობომისიებშიმონაწილეობისმიღებისშედეგადშეზღუდულიშესაძლებლობისმ ქონევეტერნების, „ვეტერანებისდღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრისსახით, ერთჯერადიმატერიალური (ფულადი) დახმარებისქვეპროგრამა;გარდაცვლილდევნილთადავეტერანთაოჯახებზესარიტუალომომსახურებისთვის, ერთჯერადიმატერიალური (ფულადი) დახმარებისქვეპროგრამა.

აღნიშნულიპროგრამისმიზანიასამშობლოსდაცვისასდაღუპულთადაომისშემდგომგარდაცვლილმეომართა, იძულებითგადაადგილებულპირთასარიტუალომომსახურება.

საქართველოსტერიტორიულიმთლიანობისთვისბრძოლისადასამშვიდობომისიებშიმონაწილეობისმიღებისშედეგადშეზღუდულიშესაძლებლობისმქონევეტერნების, „ვეტერანებისდღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრისსახით, ერთჯერადიმატერიალური (ფულადი)დახმარებისგაწევა. ომისმონაწილედაომისმონაწილეებთანგათანაბრებულვეტერანებზედამესტიისმუნიციპალიტშირეგისტრირებულიდამცხოვრები 90 წელსგადაცილებულიმოქალაქეებისთვისერთჯერადიმატერიალურიდახმარებისგაწევა

გაუმჯობესდებაომისმონაწილევეტერანებისდამათთანგათანაბრებულიპირების, გარდაცვლილდევნილთადავეტერანთაოჯახების, ხანდაზმულების (90 წლისდა 90 წელსგადაცილებული), საქართველოსტერიტორიულიმთლიანობისთვისბრძოლისადასამშვიდობომისიებშიმონაწილეობისმიღებისშედეგადშეზღუდულიშესაძლებლობისმქონევეტერნების, სოციალურ-ეკონომიკურიმდგომარეობა, ასევეგარკვეულწილადდაეხმარებამათჯამრთელობასთანდაკავშირებულიპრობლემებისმოგვარებაში.

ე) მესტიისმუნიციპალიტეტისოჯახებისადაბავშვებისსოციალურიდაცვა (ორგანიზაციული კოდი 06 03)

პროგრამის აღწერა და შედეგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პ/კ - 06 03) რომელშიც შედის- ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა ; ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსების ქვეპროგრამა; დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა ;ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა ;მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსების ქვეპროგრამა ;C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსების ქვეპროგრამა ;სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმური ენდოსკოპიური გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსების ქვეპროგრამა;სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამა ; კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება ქვეპროგრამა .

.პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პროგრამაში მონაწილე ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად, ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების , მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაშიმყოფ და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფებს რომლებსაც დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ონკოლოგიური ავადმყოფების და დიალიზით მოსარგებლე პირების შემთხვევაში ავადმყოფებს შეუმსუბუქებს ფინანსურ პრობლემებს.

ვ) სტიქიისშედეგადდაზარალებულიოჯახებისდახმარება(ორგანიზაციული კოდი 06 04)

პროგრამით დაფინანსდა სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახები. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევა მათთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

შედეგი: სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა დაზარალებული ოჯახების პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის მიზნით.

**ზ) შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება(ორგანიზაციული კოდი 06 05)**

შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრში - 6-დან 18 წლამდე ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად ხორციელდება (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური,შემეცნებითი,ემოციური,ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი.

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).;

შინ მოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, ამასთანავე პირველადი კვების პაკეტებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას.

აღნიშნული ორგანიზაციის არსებობის შედეგად მოქმედებს ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში.შედეგი: შშმ პირებისთვის კომფორტის შექმნა.

**თ) უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 06)**

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი, რომელიც ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების რეგისტრაციისა წესსა და მათი კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესსა და შეფასების, უზრუნველყოფის პირობებს. კოტეჯის ტიპის საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის პირს მფლობელობაში უნდა გააჩნდეს (სამშენებლოდ ვარგისი) მიწის ნაკვეთი . უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ პირის (ოჯახის) ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, აგრეთვე უსახლკარობის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების გათვალიწინებით. თანაბარი რაოდენობის ხმების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას. უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასება მოხდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მოქმედი დოკუმენტის საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

პროგრამის შედეგად მივიღებთ უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფას.

**ი) ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა (ორგ.კოდი 06 07)**

აღნიშნული პროგრამით ხდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენა. ერთჯერადი ფულადი დახმარება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსების უზრუნველყოფა;

შედეგი: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნების უფლებების დაცვა.

აღნიშნულ პროგრამის შექმნა წლის მე-4 -ე კვარტალში მოხდა აქედან გამომდინარე სამიზნე ბენეფიციარების გამოვლენა და შესაბამისად მათზე განკუთვნილი თანხების ათვისება ვერ მოესწრო 2021 წელს.

**2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები**

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა შეადგენს 22671.4 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 21766.5ათასი ლარი, რაც გეგმის96%-ია,მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 11 945.15 ათასი ლარი, რაც გეგმის (11652.58ათასი ლარი) 97 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტშიჩარიცხულია8644.34ათასი ლარი, რაც გეგმის 9648,98 ათასი ლარი) 90%-ია, მიზნობრივიტრანსფერიდელეგირებულიუფლებამოსილებისგანსახორციელებლად –878.7ათასილარი, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია –300 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 5169.9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია1 117ათასი ლარი, გეგმის (849.8ათასი ლარი) 139 %-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 207.9 ათასი ლარი, რენტის სახითმობილიზებულია837ათასილარი,საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია67.29ათასილარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –23 ათასი ლარი,

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა5006.6 ათასი ლარი,

მესტიის მუნიციპალიტეტისბიუჯეტის 2020–2022წლისშემოსულობებისშესახებ (ათასლარებში)

| | | 2021წლის9თვე. ათ. ლარი | 2022წლის9თვე. ათ. ლარი |
|---|---|---|---|
| **გადასახადები** | | **11504.4** | 11945.1 |
| ქონებისგადასახადი | | 8164.2 | 7022.5 |
| სხვაგადასახადები | | 3340.2 | 4922.6 |
| **გრანტები** | | **5383.3** | 8644.34 |
| **სხვაშემოსავლები** | | **1622.1** | 1177 |
| შემოსავლებისაკუთრებიდან | | 1622.1 | 1177 |
| საქონლისადამომსახურებისრეალიზაცია | | 92 | 67.3 |
| სანქციები (ჯარიმებიდასაურავები) | | 38.9 | 23 |
| | | | |
| **არაფინანსურიაქტივებისკლება** | | **0** | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| შემოსულობაძირითადიაქტივებისგაყიდვიდან | | 0 | 0 |
| შემოსულობაარაწარმოებლურიაქტივების (მიწის) გაყიდვიდან | | 0 | 0 |
| **ფინანსურიაქტივებისკლება** | | | |
| **სულშემოსულობებისჯამი** | | **18509.8** | 21 766.5 |

**მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 79 % შეადგინა (გეგმა 26 384.4 ათასი ლარი, ფაქტი 20 824.3 ათასი ლარი). ხარჯები მიმართული იქნა :**

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება -2695.27 ათასი ლარი
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია–10671.1ათასი ლარით;
- დასუფთავება გარემოს დაცვა –1343.12ათასი ლარით;
- განათლება –1893.6ათასი ლარით;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა –1772ათასი ლარით;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა –775.9ათასი ლარით;

**მესტიის მუნიციპალიტეტის 2020-2022წლებისბიუჯეტებისცხრა თვის ხარჯებისსტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში**
(ათას ლარებში)

| **ფუნქციონალურიკოდი** | **დასახელება** | **2020წლის ფაქტი** | **2021წლისფაქტი** | **2022წლისფაქტი** |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება** | **2839** | **3519** | **4188** |
| 7.1.1 | აღმასრულებელიდაწარმომადგენლობითიორგანოებისსაქმიანობისუზრუნველყოფა, ფინანსურიდაფისკალურისაქმიანობა, საგარეოურთიერთობ | 2202 | 3354.7 | 4040 |
| 7.1.6 | ვალთანდაკავშირებულიოპერაციები | 96.6 | 87.5 | 74.5 |
| **7.2** | **თავდაცვა** | | | |
| 7.2.2 | სამოქალაქოთავდაცვა | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **7.4** | **ეკონომიკურისაქმიანობა** | **5374** | **97014** | **5463.5** |
| 7.4 2 | სოფლისმეურნეობა, სატყეომეურნეობა, მეთევზეობადამონადირეობა | 125.8 | 228 | 2203 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 2654 | 6017 | 2305 |
| **7.5** | **გარემოსდაცვა** | **75.6** | **1051** | **1343** |
| 7.5 1 | ნარჩენებისშეგროვებაგადამუშავებადაგანადგურება | 825.5 | 1051 | 1343 |
| 7.5 3 | გარემოსდაბინძურებისწინაარმდეგბრძოლა | | | |
| 7.6 | **საბინაოკომუნალურიმეურნეობა** | **500.7** | **585.3** | **942.3** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | | | |
| 7.6 2 | კომუნალურიმეურნეობისგანვითარება | | | |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 348 | 359.5 | 428.4 |
| 7.6 4 | გარეგანათება | 152.7 | 225.8 | 513.9 |
| 7.6 6 | სხვაარაკლასიფიცირებულისაქმიანობასაბინაოკომუნალურმეურნეობაში | | | |
| 7.7 | **ჯანმრთელობისდაცვა** | **109.5** | **152.4** | **142.3** |
| 7.7 4 | საზოგადოებრივიჯანდაცვისმომსახურება | 55.9 | 84.09 | 84.1 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურადარელიგია** | **11412** | **1395.9** | **1619.5** |
| 7.8 1 | მომსახურებადასვენებისადასპორტისსფეროში | 458.2 | 555.7 | 639.9 |
| 7.8 2 | მომსახურებაკულტურისსფეროში | 583.7 | 671.7 | 737.2 |
| 7.8 4 | რელიგიურიდასხვასახისსაზოგადოებრივისაქმიანობა | 108.3 | 109.4 | 174.1 |
| 7.9 | **განათლება** | **1027** | **1481.3** | **1893.6** |
| 7.9 1 | სკოლამდელიაღზრდა | 725.8 | 941.6 | 1,156.6 |
| 7.9 2 | ზოგადიგანათლება | | | |
| 7 10 | **სოციალურიდაცვა** | **425.8** | **646.2** | **660.1** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ | **12303** | **18537.5** | **20688.8** |

ნფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 00)გეგმა --15 237.6 ათასი ლარი, ათვისება --10 671.1 ათასილარი. (71 მათ შორის:

- მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 01 01)გეგმა --6 197.4 ათასი ლარი, ათვისება --4 292.6 ათასი ლარი. მათ შორის:
- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) გეგმა --522.9 ათასი ლარი, ათვისება --513.9 ათასი ლარი (98%).მათ შორის:
- წყლისსისტემისრეაბილიტაციადაექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 02)გეგმა --526.3 ათასილარი, ათვისება 428.4 ათასი ლარი(81%);

- მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა(ორგ.კოდი 02 03) გეგმა --2 673.6ათასი ლარი, ათვისება -- 1 858.6 ათასი ლარი(70%);მათ შორის:

- სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 04) გეგმა --2 414 ათასი ლარი, ათვისება - 2 203.7 ათასი ლარი(91 %);
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(ორგ.კოდი 02 05) გეგმა --2 214 ათასი ლარი, ათვისება 1 019.2 ათასი ლარი(42 %);
- რეგფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება(ორგანიზაციული კოდი 02 06) გეგმა -63.5 ათასი ლარი.
- საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება(ორგანიზაციული კოდი 02 09) -გეგმა 627 ათასი ლარი ფაქტი - 355 ათასი ლარი(57 %)

3.დასუფთავება და გარემოს დაცვა(ორგ.კოდი 03 00) გეგმა -1 494.3 ათასი ლარი, ათვისება --1 343.12 ათასი ლარი (90 %).მათ შორის:

- ა.აიპ"დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"(ორგ.კოდი 03 01 ) გეგმა -1 494.3 ათასი ლარი, ათვისება --1 343.12 ათასი ლარი (90 %).:

4.განათლება(ორგ.კოდი04 00) გეგმა-- 2 183.4ათასილარი, ათვისება-- 1 893.6 ათასი ლარი.(87%). მათ შორის:

- სკოლამდელიგანათლებისდაფინანსება(ორგ.კოდი 04 01) გეგმა --1 326.8 ათასი ლარი, ათვისება --1 156.6 ათასი ლარი (87%).მათ შორის:
- სკოლების თანადაფინანსება (ორგ.კოდი 04 04) გეგმა --856.5ათასი ლარი, ათვისება -737ათასი ლარი(86 %);მათშორის:

5.კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(ორგ.კოდი 05 00) გეგმა 1 923.6 ათასი ლარი, ათვისებულია 1 772 ათასილარი.(92 %)მათ შორის:

- ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება(ორგ.კოდი 05 01 01)გეგმა 709.4ათასი ლარი,ათვისება-422.9639.9 ათასი ლარი (90 %)
- ბიბლიოთეკების დაფინანსება (ორგ.კოდი 05 02 04) გეგმა --69.7 ათასი ლარი, ათვისება --68.3 ათასი ლარი (98%).მათ შორის:
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება(ორგ.კოდი 05 03) გეგმა --189.2 ათასი ლარი, ათვისება --174.1 ათასი ლარი (92%).მათ შორის:
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი (ორგ.კოდი 05 05) გეგმა 101.6 ათასი ლარი, ათვისება --63.4 ათასი ლარი (67 %). მათ შორის:
- ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" (ორგ.კოდი 05 06) გეგმა --672.3 ათასი ლარი, ათვისება --651.4 ათასი ლარი (97%). მათ შორის:

- აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან - ლანდ (ორგ.კოდი 05 07) გეგმა --181.2ათასილარი, ათვისება --170.6 ათასილარი (94%).

6.მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(ორგ.კოდი 06 00) გეგმა--792.3 ათასი ლარი,ათვისება-- 775..9 ათასი ლარი.(98%),

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ორგ.კოდი 06 01) სუბსიდიის გეგმა --58.9 ათასი ლარი, ათვისება --57.4 ათასი ლარი (98%);
- ბავშვთადაშეზღუდულიშესაძლებლობისმქონეპირთასოციალურიდაცვა (ორგ.კოდი 06 02 01) გეგმა --23.8 ათასი ლარი, ათვისება -- 23.8 ათასი ლარი (100%);
- მძიმეკატეგორიისავადმყოფებისსოციალურიდაცვა(06 02 02) გეგმა --327.9 ათასი ლარი, ათვისება --327.7 ათასი ლარი(99%);
- ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალურიდაცვა(ორგ.კოდი 06 02 03) გეგმა --4 ათასი ლარი, ათვისება - 4 ათასი ლარი(100%);
- მესტიისმუნიციპალიტეტისოჯახებისადაბავშვებისსოციალურიდაცვა (ორგ.კოდი 06 03) გეგმა --206 ათასი ლარი, ათვისება --205.8 ათასი ლარი(99%);
- სტიქიისშედეგადდაზარალებულიოჯახებისდახმარება (ორგ.კოდი 06 04) გეგმა --83.4 ათასი ლარი, ათვისება --70..1 ათასი ლარი(84%);მათ შორის:
  - სხვა ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.8) -გეგმა --83.4 ათასი ლარი, ათვისება -70.1 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება (ორგ.კოდი 06 05) გეგმა --58.2 ათასი ლარი, ათვისება --58.2 ათასი ლარი(100%);მათ შორის:
  - სუბსიდიის მუხლი (კლასიფ.კოდი 2.5) -გეგმა --58.2ათასი ლარი, ათვისება -58.2 ათასი ლარი;
- უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა(ორგანიზაციული კოდი 06 06) გეგმა - 21 ათასი ლარი. ათვისება 21 ათასი ლარი(100%).
- ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა(ორგანიზაციული კოდი 06 07) გეგმა -9 ათასი ლარი. ათვისება 7.6 ათასი ლარი(85 %).

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### თვითმმართველი ერთეული გურჯაანის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2023-2026 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
მესტიის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით მესტიის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა ტურისტულად მიმზიდველი სიძველეების რეაბილიტაცია. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

### მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;

2023-2026წლებშიასიგნებებისადარიცხოვნობისზღვრულიოდენობებიპრიორიტეტებისმიხედვით

| პრიო. კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2023 წელი | 2024წელი | 2025წელი | 2026წელი |
|---|---|---|---|---|---|
| | **მმართველობადასაერთოდანიშნულებისხარჯები** | **7,183.27** | **7,542.43** | **7,919.56** | **8,394.73** |
| 01 00 | დასაქმებულთა რიცხოვნობა | 189 | 189 | 189 | 189 |
| | **ინფრასტრუქტურა** | **4,165.78** | **4,374.07** | **4,592.77** | **4,868.34** |
| 02 00 | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | მ.შ. ახალიინიციატივები | **500.00** | **525.00** | **551.25** | **584.33** |
| | **დასუფთავებადაგარემოსდაცვა** | **1,430.00** | **1,501.50** | **1,576.58** | **1,671.17** |
| 03 00 | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | **განათლება** | **1,450.00** | **1,522.50** | **1,598.63** | **1,694.54** |
| 04 00 | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **3,084.65** | **3,238.88** | **3,400.83** | **3,604.88** |
| 05 00 | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | **ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1,421.60** | **1,492.68** | **1,567.31** | **1,661.35** |
| 06 00 | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | მ.შ. ახალიინიციატივები | **408.00** | **428.40** | **449.82** | **476.81** |
| | **სულ ჯამი** | **18,735.30** | **19,672.07** | **20,655.67** | **21,895.01** |

## 3.1 ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის

ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 02 02 01 | 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა.ა.იპ გარე განათება | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2022 წლის დაფინანსება (ლარი) | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 400.00 | 420.00 | 441.00 | 467.46 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | უსაფრთხო, განათებული გარემოს შექმნა მოქალაქეებისთვის |
| პროგრამის აღწერა | 2023წ ორგანიზაციის მიზანია დაბა მესტიის სრული განათება, აეროპორტის გზა, რომელსაც სჭირდება 106 ბოძი თავისივე სანათით.<br>2024წ. სოფ ბეჩო ჩასამატებელია 25 ბოძი. თავისი სანათით.<br>2025წ სოფ იფარი, კალა უშგულის ცენტრების განათება.სადაც დასჭირდება 70 ბოძი. თავისი სანათით.<br>2026 სოფ მულახის წვირმის სოფლების განათება. კოშკების განათება,<br>დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ გარე განათების სამსახური ემსახურება 1015 ბოძს. 2026 წლისთვის ბოძების რაოდენობა გაიზრდება 1500 ბოძამდე. დღეის მდგომარეობით განათებულია 80 კოშკი და ეკლესია . 2026 წლისათვის გეგმაშია 60 კოშკის განათება. |
| პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უსაფრთხო გარემოს შექმნა,<br>ღამით ქალბატონებისთვის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. |

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | განათებული სოფლის რაოდენობა | 7 | 9 | 10% შესყიდვის პროცედურები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | დამონტაჟებული ბოძების რაოდენობა | 1015 | 1121 | 10% შესყიდვის პროცედურები |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 02 03 მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2022 წლის დაფინანსება (ლარი) | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1,200.00 | 1,260.00 | 1,323.00 | 1,402.38 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა |
| პროგრამის აღწერა | პრიორიტეტისფარგლებშიგათვალისწინებულიაშემდეგიქვეპროგრამები;<br>• საბავშვობაღებისმშენებლობადარეაბილიტაცია<br>• საჯაროს კოლების მშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სამედიცინოამბულატორიებისმშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სპორტულგამაჯანსაღებელიინფრასტრუქტურისმშენებლობარეაბილიტაცია.<br>პროგრამის ძირითადმიზანსწარმოადგენსმუნიციპალიტეტისეკონომიკურიდასოციალურიპროგრესისუმნიშვნელოვანესირესურსის-ადამიანურიკაპიტალისდამისიგანვითარებისყველასაფეხურზესათანადოპირობებისშექმნა.სკოლამდელიაღზრდადაგანათლებაგა მორჩეულადპრიორიტეტული, გრძელვადიანშედეგზეგათვლილისფეროადააქედანგამომდინარექვეპროგრამებიითვალისწინებენუწყვეტისწავლისსისტემებისგა ნვითარებისხელშეწყობას, პირველადიჯანდაცვისხელმისაწვდომობისგაზრდას, ჯანსაღიცხოვრებისწესისდამკვიდრებასადასპორტულიინფრასტრუქტურისგანვითარებას.მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების სახურავის შეძენაში ხელშეწყობის პროგრამა, ობიექტებზე ცენტრალური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა |
| პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გაუმჯობესებულია სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა |

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზის | მიზნობრი | |

| | | ო 2022 წელი | ვი2023 წელი | |
|---|---|---|---|---|
| 1 | რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა | 0 | 0 | 10% შესყიდვის პროცედურები |
| 2 | მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების გადახური მასალით დახმარების პროგრამით დაკმაყოფილებული მოქალაქეების რაოდენობა | 0 | 0 | 10% შესყიდვის პროცედურები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 2023წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
| | 02 04 | | 0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული􏰀განვითარების სამსახური | | | |
| აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტში ხშირია ბუნებრივი სტიქიური პროცესები და რისკების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი საპრევენციო ღონისძიებების სისტემატური განხორციელება, როგორიცაა ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა და რეაბილიტაცია ღელეებისა და ხევების განტვირთვა-გაწმენდა ღვარცოფებისა და მეწყერის შედეგად ჩამოტანილი ნაშალისაგან. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა.<br>**ქვეპროგრამების ფარგლებში დაფინანსედება** ნაპირსამაგრი და და მცავიგაბიონებისმშენებლობად.მესტიაშიმესტიაჭალაზე, ლენჯერის, მულახის, ბეჩოს, ნაკრისდაიფარისტერიტორიულერთეულებში, ღელეების განტვირთვა ლენჯერსა და ხაიშში. | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სტიქიის შედეგებისგან დაცული მოსახლეობა, სახნავ სათესი მიწის სავარგულები და სხვადასხვა ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, შენობა-ნაგებობები, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ობიექტები და სხვა). | | | |

ი

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის | ინდიკატორის მაჩვენებლები | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - |
|---|---|---|---|

| | შეფასების ინდიკატორი | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა | 0 | 0 | 10% შესყიდვის პროცედურები |

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | |
|---|---|---|
| 02 06 | 02 06 | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **1,110.78** | **1,166.32** | **1,224.63** | **1,298.11** |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | აღნიშნული პროგრამით ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინასება, საიდანაც ხდება შემდეგ ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება : საგზაო ინფრასტრუქტურა,წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა, საბავშვო ბაღების სპორტული და კულტულური ობიექტების მშენებლობა, ლარი სოფლის მხარდაჭერი პროგრამები. |
| პროგრამის მიზანი მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაცია - მშენებლობის ხელშეწყობა |

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | თანადაფინანსებული პროექტების რაოდენობა | | | 10% შესყიდვის პროცედურები |

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| | 02 07 | |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **500.00** | **525.00** | **551.25** | **584.33** |

| ქვეპროგრამის მიზანი | ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებში |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა შექმნილია ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო და სხვა მიმართულებებთან ერთად მოიაზრებს მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარებაზე მუშაობას, ახალგაზრდობის საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიის შექმნასა და განხორციელებას, ახალგაზრდების ჩართვას მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან პროცესებში და განვითარებაზე ორიენტირებულ მცირე, საშუალო და დიდი მასშტაბის პროგრამებსა და პროექტებში.<br><br>სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის სრულ მოსახლეობაში 25 წლამდე ახალგაზრდები შეადგენს მოსახლეობის 38.4%-ს (4394). აქიდან სრულწლოვანი ახალგაზრდების რაოდენობა 1475-ია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი სკოლის დამთავრებისთანავე (ხშირად უკვე მე-11 კლასიდან) მიემგზავრება დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში უნივერსიტეტებისთვის მოსამზადებლად და უმაღლესი განათლების მიღების მიზნით. სამწუხაროდ, ახალგაზრდების ასევე დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ, პოულობს სამუშაოს დედაქალაქში თუ სხვა ქალაქებში და იქვე იკეთებს კარიერას. მესტიის მკვიდრი ახალგაზრდობის მხოლოდ მცირე ნაწილი ამჯობინებს უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ საკუთარი კარიერის მესტიის მუნიციპალიტეტში შექმნას. ზემოთხსენებული უარყოფითად აისახება მესტიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე, მათ შორის, ნაკლები ახალგაზრდა პროფესიონალის ყოფნა მესტიაში ნიშნავს ნაკლებ და ნაკლებად ეფექტიან საწარმოებს, უფრო არაკვალიფიციურ სამუშაო ბაზარს, უფრო დაბალი ხარისხის საჯარო მმართველობას, უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს და ინოვაციას რიგ ეკონომიკურ სფეროებში.<br><br>ამის საპირისპიროდ, ჩვენი ხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტში უმაღლეს განათლებამიღებული ახალგაზრდა პროფესიონალების დაბრუნება ნიშნავს მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობას, კერძო და საჯარო სექტორში მეტ კვალიფიციურ მუშახელს, მეტ ახალ და განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივას და უკეთეს სოციო-ეკონომიკურ ფონს. |

| | |
|---|---|
| | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოახდენს ახალგაზრდობის გააქტიურებას მესტიის მუნიციპალიტეტში. მათ შორის, ა(ა)იპ-ი იმუშავებს ახალგაზრდებთან ერთად მესტიის მუნიციპალიტეტის თითოეულ თემში და განახორციელებს ახალ, ინოვაციურ პროექტებს ადგილობრივი განვითარებისთვის. მესტიის 17-ივე თემში ა(ა)იპ-ის ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან და სხვა ახალგაზრდებთან ერთად ა(ა)იპ-ი 2023-2024 წლებში შეიმუშავებს მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ სტრატეგიას, რომელიც უპასუხებს ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებს და განახორციელებს ახალ განვითარების პროექტებს ახალგაზრდების ჩართულობით. ა(ა)იპ-ი იმუშავებს მუნიციპალიტეტის განვითარების პროექტებზე, მათ შორის ჩართული იქნება მესტიაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის ჩამოყალიბების პროექტებში, მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის პრობლემატიკის აღმოფხვრის პროექტებში, სტატისტიკის რეფორმის პროექტებში და სხვ. ა(ა)იპ-ი, აგრეთვე, განახორციელებს პროგრამებს მესტიის მკვიდრი ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, მათ შორის უზრუნველყოფს ახალგაზრდების ხარისხიან საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობას, სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიას და სხვა. |
| პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გაზრდილი ახალგაზრდების რაოდენობა,რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან პროცესებში, |

| შეფასებისინდიკატორები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოოშედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
| ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული პროექტების ბენეფიციარების რაოდენობა | 150 | 300 | 400 | 500 | 600 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| ა(ა)იპ-ის ორგანიზებით გადამზადებული ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც ისარგებლა შეძენილი ცოდნით | 40 | 90 | 150 | 200 | 240 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდა პროფესიონალების რაოდენობა, რომლებიც ბრუნდებიან მესტიაში საჯარო და კერძო სექტორში სამუშაოდ (%) | N/A | 10 | 20 | 25 | 30 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| შუალედურიშედეგი (OUTPUT) | 2022 საბაზისო | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | შეფასებისმაჩვენებელი |
| ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა | 10 | 15 | 20 | 25 | 30 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| ა(ა)იპ-ის ორგანიზებით გადამზადებული ახალგაზრდების რაოდენობა, | 60 | 120 | 180 | 250 | 300 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| ახალგაზრდობის სფეროს საჯარო შეხვედრების (ფორუმების) რაოდენობა | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 15-20% დაფინანსების სიმწირე,სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| ა(ა)იპ-ის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოსა და ახალგაზრდული სამუშაო ჯგუფების შეხვედრების რაოდენობა | 4 | 6 | 6 | 7 | 8 | 15-20% სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |
| საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა ახალგაზრდობაში ჯანსაღი გარემოსა და ჯანმრთელობის სტიმულირებისთვის | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 10%სამუშაო შეხვედრების ორგანიზაბის შეფერხება |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 02 08 | საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება | დასუფთავება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელ | მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსე ბა (ლარი) | 2024 წლის დაფინანსე ბა (ლარი) | 2025 წლის დაფინანსე ბა (ლარი) | 2026 წლის დაფინანსე ბა (ლარი) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ი: | | | **1,430.00** | **1,501.50** | **1,576.58** | **1,671.17** |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | აღნიშნული პროგრამით ხორციელდება ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე სახარჯთაღრიცხო საპროექტო და ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვა |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი | ინფრასტრუქტურულ პროექტების რეაბილიტაცია-მშენებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები -აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივ ი2023 წელი | მიზნობრივ ი2024 წელი | მიზნობრივ ი2025 წელი | მიზნობრივ ი2026 წელი | |
| 1 | შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა | | | | | | 15% შეფერხება შესყიდვების პროცედურებიდან გამომდინარე |

## 3.2 დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება;ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა;

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 03 01 | დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური | დასუფთავება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ მესტიის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1,430.00 | 1,501.50 | 1,576.58 | 1,671.17 |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, მესტიის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოს დასუფთავების სერვისით მომსახურეობას, რაშიც შედის: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა.<br>ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური მუნიციაპლიტეტის დასუფთავებაზე ზრუნვის გარდა ახორციელებს/კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის მერიიდან ბრძანებით დავალებულ კეთილმოწყობის პროექტებს, როგორიც არის სახელმწიფო შენობების და ხიდების რეკონსტრუქცია, გზისპირა საყრდენი კელდების მშენებლობა და სხვა.<br>მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა გარემოს დასუფთავებასთან და დაცვასთან დაკავშირებით ად დასუფთავების სერვისით მომსახურეობის უზრუნველყოფა: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა. დასუფთავების მომსახურეობის თანხის ამოღება იურიდიული პირებიდან, მესტიაში თავისი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე არის უამრავი სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო და კომერციული ფართები, რომლიდანაც სეზონურობის მიხედვით გროვდება საკმაოდ დიდი რაოდენობის ნარჩენი და ნაგავმზიდებს ხშირად გრაფიკზე დმატებით უწევთ ქუჩების ხელახლა შემოვლა და კონტეინერების დაცლა, რაც საკმაოდ დიდი ხარჯს წარმოადგენს, ვინაიდან ავტომობილს ცვეთა ემატება და ასევე იხარჯება მეტი რაოდენობის საწვავი, ვიდრე განსაზღვრული შეიძლება იყოს. დაწესებული გადასახადის ამოღებით შესაძლებელი იქნება ხარჯების გადაფარვა.<br>დღევანდელი მონაცემებით სამსახურს გააჩნია 305 ნაგვის კონტეინერიდა სერვისის მიწოდება ხორციელდება მუნიციპალიტეტის სრული ტერიტორიის 70%-ზე. ტერიტორიები სადაც ხორციელდება სრული გატანა (100%-ანი) გახლავთ: დაბა მესტია, მულახი, უღვირი, იფარი, კალა, უშგული, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეცერი, ფარი, ხაიში, ლახამულა, ჯორკვალი, ჭუბერი. დარჩენილ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ვერ მიდის სპეც ტექნიკა, თუმცა მსგავსი სოფლების გზის პირა გადასახვევებთან განთავსებულია კონტეინერები, რაც ნაწილობრივად მათთვისაც ხელმისაწვდომს ხდის მომსახურეობას. სამსახურმა დაიწყო არა ლეგალური ნაგავსაყრელების გაუქმება, რომელიც მრავლად იყო ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დღეის მდგომარეობით, ყველა აღრიცხული არალეგალური ნაგავსაყრელი გაუქმებულია, თუმცა მოსახლეობა სრულად ვერ შეეჩვია ნაგვის კონტეინერებში განთავსებას და თითქმის ყოველ წლიურად სამსახურს ხელახლა უწევს გაუქმებული ნაგავსაყრელების ხელახლა გაუქმება.<br>დღევანდელი მდგომარეობით სამსახურს ჰყავს 4 დიდი ზომის ნაგავმზიდი/თვითმცლელი და 3 მცირე ზომის ნაგავმზიდი დაბა მესტიაში მცირე ზომის კონტეინერების დასაცლელად. მოცემული ნაგავმზიდები გადაადგილდებიანროგორც გრაფიკის, ასევე საჭიროების მიხედვითაც .<br>დღევანდელი მდგომარეობით სამსახურს ბალანსზე ირიცხება 1 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომობილი ზედამხედველობისთვის და 21 ერთეული სპეც ტექნიკა, მათშორის: 7 ერთეული ნაგავმზიდი, 6 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორიდა 8 ერთეული სხვა სპეც ტეხნიკა (მრეცხავი, გადამზიდი (ტრაქტორბის გადასაყვანად) და ტრაქრორები).<br>სამსახურს დასაქმებული ყავს - 111 თანამშრომელი,მათ შორის : ქალბატონი-66, მამაკაცი-45,(დირექტორი, მოადგილე, საქმეთა მწარმოებელი, ბუღალტერი, კანცელარიის გამგე, შესყიდვების მენეჯერი, მესაწყობე, ზედამხედველი, მეეზოვე, მძღოლი, დამხმარე მუშა, შემდუღებელ/ტექნიკოსი). |

| | |
|---|---|
| | 2022 წელს ჩაერთო სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში და მთელი მუნიციპალიტეტის მაშტაბით პირველ ეტაპზე დაასაქმა 1007 ბენეფიციარი. ჩვენი სამსახურის მიზანი გახლდათ, როგორც დასაქმებულების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მოსახლეობის პასუხისმგებლობის გააზრება და ცნობიერების ამაღლება დასუფთავების კუთხით. რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მივიღოთ სუფთა მუნიციპალიტეტი და პასუხისმგებლიანი მოსახლეობა. |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი | ამაღლებული ცნობიერება და სუფთა მუნიციპალიტეტი |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები -აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2021 წელი | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | |
| 1 | ქალაქის ტერიტორიის ფართობი, სადაც ხორციელდება დასუფთავების სერვისი (კვ.მ) | | | | | | 15% შესყიდვების პროცედურებიდან გამომდინარე |
| 2 | დასუფთავების მომსახურეობის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში % | 70 | 80 | 90 | 100 | 100 | 15 % გარემო პირობების ფაქტორი, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |
| | შემოსული დასუფთავების მოსაკრებლის თანხა | 85000 | 120000 | 150000 | 160000 | 180000 | 15% გარემო პირობების ფაქტორი, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა |

3.3 განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | განათლება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1,450.00 | 1,522.50 | 1,598.63 | 1,694.54 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | მესტიია მუნიციპალიტეტში სულ 23 საბავშვო ბაღი და 1 სასკოლო მზაობის ცენტრია. რეგისტრირებულია 416 აღსაზრდელი,მათ შორის:ვაჟი- 219, გოგონა-197,<br><br>სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 206 თანამშრომელი,მათ შორის: ბატონი- 27, ქალბატონი -179. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ჰასპის სისტემის დანერგვა, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების სავადებულო ღონისძიებების ჩატარება. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები<br>შექმნილია ბავშვების ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებაზე მორგებული გარემო |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი2023 წელი | |
| 1 | მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობა | **416** | **425** | 10% -' შესაძლო დასაშვები მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება, |

| № | 2023 წელს დაგეგმილი ღონისძიების დასახელება | ღონისძიების აღწერა | განხორციელების პერიოდი | ხარჯთაღრიცხვა | ბიუჯეტი | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სწავლების ხარისხის ამაღლება -პედაგოგთა გადამზადება | ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ პედაგოგის ტრენინგ-მოდულისშესაბამისად, რომლის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლამდელი დაწესებულებებში აღმზრდელთა კვალიფიკაცია და სწავლების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, დაგეგმილია გაგრძელდეს აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეებისთვის ტრენინგების ჩატარებაქვეპროგრამის ფარგლებში. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის და თანაშემწეებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს. | II-III კვარტალი | | 6000 | დირექტორის მოადგილე მეთოდოლოგიის დარგში |
| 2 | ადმინისტრირება | ხელფასი,მივლინება,კომუნალური,საკანცელარიო,შტატგარეშე და აშ | I-II-III-IV კვარტალი | | 1559474 | დირექტორი, მოადგილე |
| | კვების ხარისხის ამაღლება | პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სრულფასოვანი კვება. ქვეპროგრამა მოიცავს სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი კვების პროდუქტების შეძენას და მენიუს შესაბამისი მაღალხარისხიანი კერძების მომზადებას. ასევე საბავშვო ბაღებში გახორციელდება სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. | | | 200000 | დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **საბავშვო ბაღების ინვენტარით აჭღურვა;** | განხორციელდება 23 საბავშვო ბაღში სათამაშოებისა და მეთოდურისამუშაო მასალების შეძენა.<br>• სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა. დეზინფექციის სამუშაოების და დერატიზაციის სამუშაოების წარმოება. და ა.შ.<br>წყლის სინჯების გაკეთება წელიწადში 2 ჯერ. საბავშვო ბაღში 2022 წელს განხორციელდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმება, დასკვნაში რეკომენდირებულია 10 საკითხი. კერძოდ 1. კვების ბლოკი, 2. ჰიგიენა 3. სველი წერილები, 4. გასაძლერებელია დენის სიმძლავრე. 2023 წლისათვის იგეგემება კვები ბლოკი მოწესრიგება და ა.შ<br>პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ასევე ქვეპროგრამა მოიცავს ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს. | II-III კვარტალი | | **23128** | შესყიდვის სპეციალისტი |
| | | | | | | |

## 3.4 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი |

| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2022 წლის დაფინანსება (ლარი) | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1,172.90 | **1,231.55** | **1,293.12** | **1,370.71** |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ანვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.<br>სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:<br>· ჯანდაცვის სტასტისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სქოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები);<br>აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.<br>მესტიის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.<br>პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:<br>- სპორტული სკოლების გაერთიანების დაფინანსება<br>- აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში,<br>გაუმჯობესებულია აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების სპორტული მიღწევები. |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ პირთა რაოდენობა | 550 | 590 | 630 | 660 | 700 | 15% - ნაკლები მომართვიანობა; პანდემია. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მუნიციპალური სპორტსკოლის სპორტსმენების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა | 270 | 280 | 295 | 305 | 315 | 20% - სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი ასპარეზობა/დაზიანება. |
| 4 | მუნიციპალური სპორტული სერვისებით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა საერთო რაოდენობა | 700 | 720 | 740 | 780 | 830 | 15% - ნაკლები მომართვიანობა |

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 01 | | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა.ა.იპ სპორტული სკოლების გაერთიანება | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1,108.90 | 1,164.35 | 1,222.56 | 1,295.92 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მოზარდების მაქსიმალური ჩართულობა სპორტულ სახეობებში,<br>ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სპორტული ცენტრის განვითარება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა სპორტული სახეობების შეთავაზება ,ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილდოების შესყიდვა. სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა,<br>მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს მწრთვნელთა გადამზადება.<br>აიპ სპორტული სკოლა ემსახურება 8 სოფელს და დაბა მესტიას კერძოდ :ხაიში, ჭუბერი,ნაკრა,ფარი,ლატალი,ლენჯერი, მულახი. იფარი .<br>სპორტსკოლის ფუნქციონირებაში შედის მოსწავლეებს შესთავაზოს შემდეგ სპორტულ სახეობებში ჩართულობა და ცოდნის მიღება: |

| | |
|---|---|
| | მეკლდეუროზა,კრივი,ფრემბურთი,ფეხბურთი,რაგბი,ძიუდო, ქართული ჭიდაობა,მკლავჭიდი,საციგაო სპორტი,სამბო,სამთო თხილამური,ჭადრაკი,.<br>აიპიში დასაქმებულია 63 სხვადასხვა სპორტის სახეობის მწრთვნელი.<br>აიპი სპორტსკოლის მომსახურებით სარგებლობს 700 მოსწავლე,მათ შორის: გოგონა- 70, ვაჟი-630.<br>ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად ატარებს შიდა ღონისძიებებს და ასევე ჩართულია გასვლით ღონისძიებებში სადაც ორგანიზაციიდან მონაწილე სპორტცმენები წარმატებით ასპარეზობენ და ხშირ შემთხვევაში საპრიზო ადგილებით ბრუნდებიან.გასვლით ღონისძიებების შედეგების რამოდენიმე მაგალითს მოგახსენებთ:<br>• 2022 წელს საქართველოს პირველიბა ზე კრივში, ქ. ბათუმი. შეჯიბრებაში მესტიის მუნიციპალიტეტის ორმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათგან, 86 კგ. წონით-კატეგორიაში მოასპარეზემ, მძიმე ორთაბრძოლებში დაიკავა პირველი ადგილი , გახდა საქართველოს ჩემპიონი და საქართველოს ნაკრების წევრი. შესაბამისად ის მონაწილეობას მიიღებს, სამომავლოდ გასამართ ყველა მაღალი რანგის სპორტულ ღონისძიებაზე, მათშორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც.<br>• 2022 წ. მიხეილ კაპატაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კრივში ქ. ქუთაისი.შეჯიბრებაში მესტიის მუნიციპალიტეთის ნაკრები- გუნდი (ხუთი სპორტსმენი) ასპარეზობდა, მონაწილეთაგან ხუთივე მოკრივემ დაიკავა საპრიზო ადგილი.<br>• 2022 წ. საქართველოს პირველობის პირველი ეტაპი, სამთო -სათხილამურო სპორტში, გუდაური. შეჯიბრებაში ასპარეზობდა მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები-გუნდი. შეჯიბრება ორ კვალიფიკაციაში (სპეც. სლალომი და გიგანტური სლალომი) ჩატარდა, გოგონათა და ვაჟთა შორის, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში. აღნიშნულ შეჯიბრებიდან მესტიამ წამოიღო 9 საპრიზო ადგილი,მათ შორის: 6 საპრიზო ადგილი ეკუთვნით გოგონებს.<br>• 2022 წ. ქ. ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს პირველობის სალიცენზიო შეჯიბრება ძიუდოში 2007 - 2008 წლებში დაბადებულ სპორტცმენთა შორის. ღონისძიებაში მონაწილეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი (ცხრა სპორტსმენი). მონაწილეთაგან შვიდმა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს პირველობაზე ასპარეზობის სალიცენზიო უფლება.<br>• 2022 წ.ქ ფოთი საქართველის ჩემპიონატი კრივში 2006 -2007 წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის, ღონისძიებაში მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები-გუნდი მონაწილეობდა (ხუთი სპორტსმენი). მონაწილეთაგან ერთმა დაიკავა მეორე ადგილი და გახდა საქართველოს ნაკრების წევრი.<br>სპორტსკოლების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა სარემონტო სამუშაოების ჩატარება რამოდენიმე სპორტ სკოლაში, კერძოდ: სოფ იფარის სპორტკომპლექსის სარემონტო სამუშაოები,მულახის ს. მუჟალის სავარჯიშო დარბაზის იატაკის საფარის მოწყობა,მულახის ცენტრალური კომპლექსის სარემონტო სამუშაოები,ჭუბერის და ხაიშის სპორტკომპლექსის წყლის შეყვანის უზრუნველყოფა.<br>2023 წელს დამატებითი დაფინანსების შემთხვევაში ვგეგმავთ სპორტული ინვენტარის შეძენას და მწრთვნელების გადამზადებას.. |
| პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ჯანსაღი ცხოვრების წესში ჩაბმული მოსწავლეების რაოდენობის ზრდა. |

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის | ინდიკატორის მაჩვენებლები | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - |
|---|---|---|---|

| | შეფასების ინდიკატორი | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | სპორტულ წრეებში მოსწავლეების რაოდენობა | 700 | 750 | 10% მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება, |
| 2 | საპრიზო ადგილების მფლობელთა რაოდენობა | 270 | 290 | 10% კვალიფიციური მწრთვნელების ნაკლებობა |

| № | სპორტის სახეობები | | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ძიუდო | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 24 | 402.8 | 9650*12=115800 | 115800 | |
| | სპორტული ინვენტარი და ეკიპირება | | | | | | |
| | | | | | | | |
| 2 | კრივი | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 10 | 616 | 6160*12=73920 | 73920 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 3 | ჭიდაობა | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 7 | 422 | 2954*12=35448 | 35448 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | 0 | | | | |
| 4 | ფრემბურთი | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 2 | 337.5 | 675*12=8100 | 8100 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | **სარბენი თხილამურები** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 1 | 400 | 400*12=4800 | 4800 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 6 | **ფეხბურთი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 5 | 430 | 2150*12=258 00 | 25800 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 7 | **მეკლდეურობა** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 5 | 386 | 1930 *12=23 160 | 23 160 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 8 | **სამთო სათხილამურო** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 7 | 485.7 | 3400*12=408 00 | 40800 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 9 | **მკლავჭიდი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 3 | 400 | 1200*12=144 00 | 14400 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 10 | **სნოუბორდი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 1 | 400 | 400*12=4800 | 4800 | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 11 | **ჭადრაკი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | 1 | 400 | 400*12=4800 | 4800 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 12 | **მკლავჭიდი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | **3** | **400** | **1200*12=14400** | **14400** | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| 13 | **რაგბი** | | | | | | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთაანაზღაურება | პირი | **1** | **400** | **400*12=4800** | **4800** | |
| | სპეციალური სპორტული ინვენტარის შეძენა | ერთეული | | | | | |
| | | | | | | | |
| სულ | | | | | | **371028** | **0** |

2023 წლისთვის დაგეგმილი შიდა ღონისძიებები

| **N** | **ღონისძიების დასახელება** | **ჩატარების ადგილი** | **ჩატარების დრო** | **მონაწილე სპორტცმენებ ის სავარაუდო რაოდებნობა** | **მომსახურეობის ზუსტი აღწერა** | **ბიუჯეტი** | **პასუხისმგებელი პირი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიუდო | ლატალი რაიონის საგაზაფხულო პირველობა ჭაბუკებს შორის | მარტი - დანიშვნით | 90 | მედალი -10 ცალი, დიპლომი - 20 ცალი | 500.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 2 | ძიუდო | ს. მულახი, დ. ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი | აპრილი | 95 | მედალი - 15 ც, თასი-15 ც, დიპლომი 18 ც | 986.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 3 | ძიუდო | რაიონის პირველობა ს. ჭუბერი | მაისი | 60 | მედალი 20 ც. დიპლომი 23 ც. | 500.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 4 | ძიუდო | ლ. ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი | მაისი | 200 | მედალი- 20ც, დიპლომი -60ც, აფიშა -2, თასი-20ც | 2840.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ძიუდო | ნ. ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი | ივნისი | 200 | მედალი- 20ც, დიპლომი -60ც, აფიშა -2, თასი-20ც | 2840.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 6 | ძიუდო | ჭუბერი, კ. სუბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონული ტურნირი | სექტემბერი | 70 | მედალი - 20ც, დიპლომი -40 ც, თასი 1 ც | 700.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 7 | ძიუდო | ლაშა და ლუხუმ კვანჭიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე რეგიონალური პირველობა | ოქტომბერი | 80 | მედალი -15 ც დიპლომი 60 ც, თასი 1 ცალი. | 600.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 8 | ძიუდო | რობიზონ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი | ოქტომბერი | 200 | მედალი- 20ც, დიპლომი -60ც, აფიშა -2, თასი-20ც | 2840.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 9 | ძიუდო | ო. თამლიანის კ.გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური პირველობა | ნოემბერი | 80 | მედალი-30 ც, დიპლომი-60, აფიშა-1ც, თასი-15ც | 1300.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 10 | ძიუდო | საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გელა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონული ტურნირი | ნოემბერი | 70 | მედალი -15 დიპლომი, 60 ც. დიპლომი, ტასაი 1 ც. | 800.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 12 | კრივი | ა. ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიმკური ტურნირი | დანიშვნით | 90 | მედალი -15 დიპლომი -45. თასი 1 ც | 600.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 13 | კრივი | ზ. ხვინთელანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონის პირველობა | დანიშვნით | 12 | მედალი -15 დიპლომი -45. თასი 1 ც | 600.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | კრივი | ყოფილი მოკრივეების ბადრი, დათო და მამუკა ჯაჭვლიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო რაიონული პირველობა ს. მულახი | დანიშვნით | 50 | მედალი -15<br>დიპლომი -45.<br>თასი 1 ც | 600.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 15 | კრივი | ერეკლე შერვაშიძის და ჯამბული გუჯეჯიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონის საშემოდგომო პირველობა ს. მულახი | დანიშვნით | 45 | მედალი -15<br>დიპლომი -45.<br>თასი 1 ც | 600.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 16 | კრივი | რაიონის პირველობა | დანიშვნით | 42 | დიპლომები -90ც,<br>თასები-30ც,<br>მედლები -30ც,<br>აფიშა -2 ც | 3300.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 17 | კრივი | გ.ნაკანისა და ზ.ფალიანისადმი მიძღვნილი ღონისძიება | | 90 | ფურშეტი | 1900.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 18 | რესპუბლიკური პირველობა | ლ. ჯაფარიძიუს ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში | დანიშვნით | 100 | მედალი -15<br>დიპლომი -45 ც. | 500.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 19 | ქართული ჭიდაობა | რაიონის პირველობა | სექტემბერი | 50 | მედალი -15<br>დიპლომი -45. | 500.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 20 | სამბო | რაიონის პირველობა | დანიშვნით | 50 | 1225.00 | 500.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 21 | მკლავჭიდი | რაიონის ღია პირველობა | დანიშვნით | 40 | მედალი -15<br>დიპლომი -30<br>თასი -15 | 1625.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 22 | სამთო-სათხილამურო სპორტი | გივი ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა, დ. მესტია, ჰაწვალი. | დანიშვნით | 50 | მედალი -15<br>დიპლომი -30<br>თასი -15 | 1625.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 23 | სამთო-სათხილამურო სპორტი | ბორია კახიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიონის ღია პირველობა, დ. მესტია, ჰაწვალი. | დანიშვნით | 50 | მედალი -15<br>დიპლომი -30<br>თასი -15 | 400.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | სნოუბორდი | რაიონის პირველობა | დანიშვნით | 20 | 12 მედალი, 36 დიპლომი, 1 ც. თასი | 700.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 25 | ფეხბურთი | რაიონის პირველობა | დანიშვნით | 50 | 12 მედალი, 36 დიპლომი, 1 ც. თასი | 700.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 26 | ფრენბურთი | რაიონის პირველობა | დანიშვნით | 50 | მედლები -15ც, თასები-10ც, მონაწილეების ღამის თევის | 9000.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 27 | ფეხბურთი | ავღანეთში დაღუპული მ.შუკვანის რესბ ტურნირი | 1 - 5 სექტემბერი | 50 | 100- მონაწილეების ღამის თევის, კვების ფურშეტის თანხა | 16300.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 28 | მეკლდეურობა | მ.ხერგიანის მემორიალი | 26 - 30 ოქტომბერი | 100 | დიპლომები -50 თასები-25 მედლები -40 აფიშები-2 | 700.00 | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |
| 29 | მეკლდეურობა | სასწავლო - საწვრთნელო შეკრება | სექტემბერი | 15 | | | **ღონისძიების მენეჯერი, მწრთვნელი** |

61856

2023 წლისთვის დაგეგმილი გასვლითი ღონისძიებები:

| # | სპორთის სახეობა | ჩატარების ადგილი | ჩატარების ვადები/დრო | სპორტსმენების სავარაუდო რაოდენობა | მგზავრობის სასტუმროს განთავსების, კვების და ტრანსპორტირების უზრუნველყოფა | მომსახურების ღირებულება | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიუდო | ბოლნისი, ანზორ მარგველანის ხსოვნის ტურნირი | 26 – 28 თებერვალი | 12 | 55 ლარ | 3128.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 2 | ძიუდო | ზუგდიდი, რესპუბლიკური ტურნირი კოლხეთის ტასი | 14 – 16 მარტი | 15 | | 3085.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 3 | ძიუდო | ქ. თბილისი, ა. ოქროპირიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი | 13– 15 მარტი | 10 | | 2730.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 4 | ძიუდო | ქ. ზუგდიდი, მერიის თასი. | მარტი (3 დღე) | 12 | | 2618.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 5 | ძიუდო | ქ. ბოლნისი, დ. ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი | მაისი (3 დღე) | 13 | | 3283.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 6 | ძიუდო | ქ. ქარელი, შ. ხაბარელის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი | 15– 17 მაისი | 10 | | 2730.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 7 | ძიუდო | ქ. ბოლნისი, საბა დადვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი | 28-30 სექტემბერი | 10 | | 2788.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 8 | ძიუდო | ქ. ქობულეთი სასწავლო - საწვრთნელო შეკრება | ივნისი დანიშვნით 10 დღე | 12 | | 7250.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ძიუდო | ქ. ბორჯომი, რესპუბლიკური ტურნირი ახალგაზრდებს შორის | 27-29 ოქტომბერი | 13 | 3225.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 10 | ძიუდო | ზუგდიდი. ნ. შამუგიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი | 10-12 ნოემბერი | 14 | 2938.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 11 | ძიუდო | ქ. გურჯაანი, ტრადიციული ტურნირი. | 19 – 21 ნოემბერი | 10 | 2788.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 12 | ძიუდო | ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის სახელობის თასი | 21 – 23 ნოემბერი | 14 | 2938.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 13 | კრივი | ქ. თბილისი, საქართველოს პირველობა ჭაბუკებს შორის | 21 – 26 მარტი | 6 | 1890.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრთვნელი |
| 14 | კრივი | ქ. ფოთი, ზურაბ სარსანიას ტურნირი მოსწავლეებს შორის | ოქტომბერი (5 დღე) | 9 | 2475.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 15 | კრივი | ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი | აპრილი დანიშვნით (5 დღე) | 7 | 3128.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 16 | კრივი | ქ. გორი, გ. კანდელაკის სახელობის ტურნირი | ივნისი დანიშვნით (5 დღე) | 8 | 3338.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 17 | კრივი | ქ. ჭიათურა, თენგიზ ჯაოშვილის და სპარტაკ ასანიძის ხსოვნის ტურნირი | 26 – 29 ივნისი | 9 | 2708.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 18 | კრივი | ქ. ბათუმი, ბათუმის თასი. | ივლისი დანიშვნით (5 დღე) | 9 | 3203.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | კრივი | ქ. გორი, ჟ. კარელიძის ხსოვნის ტურნირი | ოქტომბერი დანიშვნით (5 დღე) | 7 | 2925.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 20 | კრივი | ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ტურნირი | მაისი (5 დღე) | 7 | 3063.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 21 | კრივი | ქ. ფოთი, ტარიელ ვერულაშვილის და ვლადიმერ შონიას ხსოვნის ტურნირი | ივნისი (5 დღე) | 8 | 2928.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 22 | კრივი | ქ. ფოთი, სასწავლო - საწვრთნელო შეკრება | ოქტომბერი (10 დღე) | 10 | 6228.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 23 | სამთო-სათხილამურო | გუდაური, საქართველოს პირველობის მესამე ეტაპი | 17–18 მარტი | 14 | 1500.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 24 | სამთო-სათხილამურო | გუდაური, საქართველოს პირველობის მესამე ეტაპი | 7-8 აპრილი | 14 | 1500.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 25 | სამთო-სათხილამურო | ქ. ქობულეთი, სასწავლო - საწვრთნელო შეკრება | სექტემბერი (10 დღე) | 10 | 6200.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 26 | მეკლდეურობა | ქ. თბილისი, გელდიაშვილის მემორიალი | 25 – 30 მარტი | 10 | 5000.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 27 | მეკლდეურობა | ქ. თბილისი, 14 წლოვანდელთა ფასტივალი | 23 – 29 მარტი | 12 | 5000.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 28 | მეკლდეურობა | ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი | 11 – 15 ივლისი | 10 | 3200.00 | ღონისძიების მენეჯერი, |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბოლდერინგში | | | | მწრვთნელი |
| 29 | მეკლდეურობა | ქ. ბათუმი საქართველოს პირველობა | 10 – 15 ოქტომბერი | 12 | 4000.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 30 | მეკლდეურობა | ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი ბოლდერინგში | 23 – 25 ნოემბერი | 10 | 2650.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 31 | კრივი | სენაკი კ.ჟვანიას სახელობის ტურნირი | ნოემბერი (5 დღე) | 6 | 2278.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 32 | კრივი | ქ.ფოთი ტ.ვერულაშვილის ლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი | აპრილი (5 დღე) | 6 | 2278.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 33 | ძიუდო | ქ.ფოთი ზ.ტუღუშის რესბუბლიკური ტურნირი | ოქტომბერი (3 დღე) | 10 | 2300.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 34 | ფეხბურთი | რეგიონალური პირველობა | მაისი (3 დღე) | 12 | 2590.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 35 | ფეხბურთი | რეგიონალური პირველობა | ივნისი (3დღე) | 12 | 2590.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 36 | ფეხბურთი | რეგიონალური პირველობა | ივნისი (3დღე) | 12 | 2590.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 37 | მკლავჭიდი | საქართველოს პირველობ | მარტი 3დღე | 8 | 2120.00 | ღონისძიების მენეჯერი, |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მწრვთნელი |
| 38 | მკლავჭიდი | საქართველოს პირველობ | ივნისი 3დღე | 8 | | 2120.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| 39 | მკლავჭიდი | რეგიონალური პირველობა | ოქტომბერი 3 დღე | 8 | | **2120.00** | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 40 | ჭადრაკი | საქართველოს პირველობ | აპრილი 4 დღე | 5 | | 1700.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 41 | ჭადრაკი | საქართველოს პირველობ | ივნისი 4 დღე | 6 | | 1850.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 42 | ჭადრაკი | საქართველოს პირველობ | ოქტომბერი 4დღე | 5 | | 1790.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 43 | ძიუდო | საქართველოს პირველობ | მარტი 3 დღე | 7 | | 2293.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 44 | ძიუდო | საქართველოს პირველობ | მარტი 3 დღე | 7 | | 2293.00 | ღონისძიების მენეჯერი,მწრვთნელი |
| 45 | სნოუბორდი | საქართველოს პირველობ | მარტი 3 დღე | 9 | | 2623.00 | ღონისძიების მენეჯერი, მწრვთნელი |
| | სულ: | | | | | 133972.00 | |

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 02 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **71.00** | **74.55** | **78.28** | **82.97** |

| ქვეპროგრამის მიზანი | მოზარდების მაქსიმალური ჩართულობა სპორტულ სახეობებში, |
|---|---|

| | |
|---|---|
| | ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:აქტიური სპოტსმენების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა,საზღვრებს გარეთ ასპარეზობის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერა |
| პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | აქტიური ახალგაზრდების ხელშეწყობა |

| № | მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი2023 წელი | |
| 1 | პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა | 700 | 750 | 10% მომართვიანობის რაოდენობის ცვლილება, |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 02 01 | 05 02 კულტურის განვითარების ხელშეწყობა | კულტურის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვე პროგრამის განმახორციელებელი: | აიპ ბიბლიოთეკების გაერთიანება | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 130.75 | 137.29 | 144.15 | 152.80 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მომავალ თაობას შევაყვაროთ წიგნი, როგორც ადამიანის მეგობარი. |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ბიბლიოთეკის წამყვანი ამოცანაა:განავითაროს მომხმარებელში ინფორმაციის მიღების კითხვის კულტურის უნარები.- აგრეთვე ჰქონდეს წიგნისადმი შეგნებული და კულტურული დამოკიდებულება . იმისთვის, რომ კითხვა აუცილებელი საკვებია სულისა და გონებისა, ბიბლიოთეკა უზრუნველ ჰყოფს მომხმარებელს შესთავაზოს მრავალფეროვანი კულტურული აქტივობები. შექმნას მკითხველზე მორგებული გარემო და რაც შეიძლება მეტი მოსწავლე და მოზარდი დაინტერესდეს ბიბლიოთეკით .<br>დღეს ამ არა ჯანსაღ კომპიუტერულ, ვირტუალურ სამყაროში ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ წიგნი.<br>აიპ ბიბლიოთეკა აერთიანებს 13 თემის და 2 დაბა მესტიის ბიბლიოთეკას. მკითხველთა რაოდენობა შეადგენს -550 ადამიანს ,საიდანაც 80 % გოგონები და ქალბატონები შეადგენენ. |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი | გაზრდილი მკითხველთა რაოდენობა,<br>შემეცნებითი ღონისძიებებში მოზარდების აქტიურად ჩართვა |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი2023 წელი | |
| 1 | მკითხველთა რაოდენობა | **500** | 550 | 5-10% - პროგრამის ცნობადობის ნაკლებობა |
| 2 | ღონისძიებების რაოდენობა,რომელსაც ატარებს ორგანიზაცია | **3** | **5** | 5% ინფრასტრუქტურის გაუმართაობა |

| № | 2023 წელს დაგეგმილი ღონისძიების დასახელება | ღონისძიების აღწერა | განხორციელების პერიოდი | ხარჯთაღრიც | ბიუჯეტი | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორჩ მკითხველთა კლუბის შექმნა | კლუბის მუშაობა და მისი არსებობა მრავალფეროვანი აქტივობებით, მეტად საინტერესო გახდება მოზარდი თაობისთვის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი ბავშვებს თავისუფალ და კრეატიულ აზროვნებას შეაჩვევს. ხელს შეუწყობს მომავალ თაობას სამოქალაქო პოზიციების ჩამოყალიბებაში.ასევე შეეჩვევიან დეკლამაციას და ზეპირ სიტყვიერებას. ნორჩ მკითხველთა კლუბში მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა. იგეგმება ადგილობრივ საჯარო სკოლებში ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ვიზიტები. სურვილის მიხედვით შეირჩევიან მოსწავლეები. მათ შესთავაზებენ საინტერესო აქტივობებს.ნორჩ მკითხველთა კლუბში ჩატარდება კითხვისა და პოეზიის საღამოები, საერთო სურვილით შერჩეული კინო ჩვენებები, წიგნის პერსონაჟთა გაცოცხლება როგორც როლური თამაშებით ასევე ხატვის ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების მიერ დასურათება ილუსტრირებით. | I-კვარტალი | სახატავი საშვალებების, ფორმატების შეძენა | | ღონისძიების მენეჯერი |
| 2 | ნორჩ მკითხველთა კლუბსა და შერჩეულ საჯარო სკოლას შორის ვიქტორინის გამართვა | სკოლებთან დამეგობრება და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მათთან საუბარი და დაგროვილი გამოცდილების და ინფორმაციების გაზიარება. კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია რათა ბავშვებმა მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ განათლებას. მათ საშუალება ექნებათ თანატოლებთან რეალიზება გაუკეთონ საკუთარ ცოდნას,რაც თავის მხრივ გამოიწვევს მოტივაციის ამაღლებას. | II-კვარტალი | ტრანსპორტირება,საკანცელარიო ნივთები,დინამიკი,მიკროფონი,ჩიპები,მონიტორი,პროექტორი | | ღონისძიების მენეჯერი |
| | საახალწლო ღონისძიება | საახალწლო ღონისძიების მომზადება საჯარო სკოლებთან ერთად | IV-კვარტალი | ალაფუშეტი,სუვენირები, | | ღონისძიების მენეჯერი |
| | ექსკურსიის მოწყობა სოფლების ბიბლიოთეკებში და მათი დათვალიერება. | ბიბლიოთეკების მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩავატარებთ ექსკურსიას და შევისწავლით თითოეული სოფლის ბიბლიოთეკის პრობლემას | II-კვარტალი | ტრანსპორტირების დაქირავება | | ღინისძიების მენეჯერი |
| | წიგნების შეძენა | | II-კვარტალი | | | დირექტორი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | | | | | |

<table>
<tr><td>კოდი</td><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td rowspan="2">05 02 კულტურის განვითარების ხელშეწყობა</td><td>2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2023 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>05 02 02</td><td></td><td>950.00</td><td>997.50</td><td>1,047.38</td><td>1,110.22</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვე პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="6">ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი</td></tr>
<tr><td colspan="2">მიზანი</td><td colspan="6">არსებული კულტურის და ხელოვნების დარგების შენარჩუნება, განვითარება, ახალგაზრდობის მაქსიმალური ჩრთულობა, ახალი ხარისხიანი პროდუქციის შექმნა  და მოქალაქეებისთვის მიწოდება.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის აღწერა</td><td colspan="6">ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრში  მესტიის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ფუნქციონირებს 1 დაბა მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი და 8 ტერიტორიული ერთეულის კულტურისცენტრი, რომელთაგანაც მხოლოდ 2 (ჭუბერის და ბეჩოს) კულტურის ცენტრებია რეაბილიტირებული, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება, დანარჩენ 6 ცენტრის  შემთხვევაში ნაკრას, ფარს, ცხუმარს და იფარს საერთოდ არ გააჩნიათ კულტ. სახლის შენობა, ხოლო ეცერის და ლატალის კულტ. სახლები ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ვერ უზრუნველყოფს შემოქმედებით საქმიანობის პირობებს, რის გამოც 6-ვე შემთხვევაში მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სხვადასხვა ლოკაციებზე ხშირ შემთხვევაში ეს ლოკაციებია სკოლა, პედაგოგის საცხოვრებელი სახლი და ა.შ.  დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 მოსწავლის სწავლება.ხოლო 200-ზე მეტი მოსწავლე მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით.სულ კულტურის და ხელოვნების ცენტრში  დაწესებულებებში დასაქმებულია 117 თანამშრომელი, აქედან 72 მამაკაცი და 45 ქალბატონი<br>ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის  მომსახურებით სარგებლობს 175 ახალგაზრდა,ააიპ კულტურის და ხელოვნების ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ხელოვნების და კულტურული დარგების მიწოდებას. ააიპ-ის ფუნქციონირების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია სწავლება შემდეგ დარგებში: ხატვა რეწვა, გობელენი, თექა, აპლიკაცია და კოლაჟი, ხის მხატვრული დამუშავება, ფორტეპიანო, სოლფეჯიო, ქართული ხალხური ცეკვა,  ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ხალხური საკრავები, გიტარა, ვოკალი, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, პანტომიმა, მსახიობის ოსტატობა, მხატვრული კითხვა.<br>2022 წლის მდგომარეობით აიპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის ხელგარჯილობის წრეში სწავლობს 75 მოსწავლე,მათ შორის:50 გოგონა,25 ვაჟი. ორგანიზაცია აქტიურად ატარებს კულტურულ  და სახელოვნებო ღონისძიებებს როგორც ადგილობრივად ასევე ქვეყნისა  და ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. 2022 წელს ჩატარდა მესტიაში „მთის ფილმები“-ს საერთაშორისო  ფესტივალი,სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეული ჟიურის წევრები.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ზაფხულის პერიოდში ყოველკვირეულად თეატრში ტარდებოდა სპექტაკლი : „ბეთქილი“, „უშბა“, „თეთნულდი“ და ა შ.<br>ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება:პედაგოგების გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლება, სხვადასხვა ხელოვნების სახეობების დამატება.<br>ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს შექმნას კომფორტული გარემო მოსწავლე როგორც გოგონების ,ასევე ვაჟებისთვისაც. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | კულტურის და ხელოვნების დარგში ჩართული მოქალაქეების ზრდა,<br>ხარისხიანი პროდუქციის შექმნა და მოქალაქეებისთვის მიწოდება. |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2021 წელი | მიზნობრივი 2022 წელი | |
| 1 | თეატრში ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 55 | 65 | 10% - მეტეოროლოგიური პირობები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა. |
| 2 | გამოფენებში მონაწილეობის მიღების რაოდენობა | 10 | 15 | 20% - მომართვიანობის ცვლილება |
| | კულტურულ დარგების შესწავლაზე ჩართული მოსწავლეების რაოდენობა. | 175 | 190 | 15% - მოსწავლეების მხრიდან ინტერესის ცვლილება |

| № | ხელოვნების დარგები | | | | ბიუჯეტი | მათ შორის | | პასუხისმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აღწერა | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | |
| 1 | ხელგარჯილობა | აღნიშნულ დარგში შედის :კერვა,ძერწვა,რეწვა,ხატვა, ქარგვა,გობელინი,რომელსაც ემსახურება 3 | | | | | | დირექტორის მოადგილე |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პედაგოგი და ერთი თანაშემწე.<br>აღნიშნული მომსახურებით სარგებლობს 70 მოსწავლე,რომელთა ნამუშევრების გამოფენა ტარდება სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც რაიონის ისე ქვეყნის მაშტაბით. | | | | | | |
| | დასაქმებული პედაგოგი და ერთი თანაშემწე | | | 4 | 405 | 405*12=19440 | 19440 | |
| | მასალები | სახატავი ფურცლები,საღებავი,გუაში,მატყლი,თექა,ძაფი,ნემსი,ნაჭრები და აშ | | | 125 | 125*12=1500 | 1500 | |
| 2 | მუსიკალური სტუდია | სტუდიაში მოსწავლეები დაეუფლებიან სხვადასხვა საკრავ ისტრუმენტის გამოყენების ხელოვნებას მაგ:გიტარა,პიანინო | | | | | | დირექტორის მოადგილე |
| | პედაგოგი | | | 3 | 513 | 1540*12=18480 | 18480 | |
| | | | | | | | | |

- ღონისძიებები

| № | ღონისძიების დასახელება | | | | ბიუჯეტი | მათ შორის | | პასუხისმგებე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ღონისძიების აღწერა | განხორციელების პერიოდი | ხარჯთაღრიცხვა | | მუნიციპალური | საბიუჯეტ | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ო<br>სახ<br>სრე<br>ბი | |
| 1 | დედის დღე | **3 მარტი დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი თუ სხვადასხვა საზოგადობრივ საქმიანობაში ჩართული აქტიური და წარმატებული დედების პატივიცემის გამოხატვა, დედობრივი ამაგის დაფასება, წახალისება, თვითშეფასების უნარისა და მოტივაციის ამაღლება.**<br>მთელი სვანეთის მასშტაბით შეირჩევა 10 სოციალურად აქტიური და მრავალშვილიანი დედა, რომელთა საპატივცემულოდ ჩატარდება კულტურული ღონისძიება და გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები. | I-კვარტალი | | **1735** | | | დირექტორი,<br>დირექტორის მოადგილე |
| 2 | 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე | **26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების მიზანია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება საზოგადოებაში, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, მომავალი თაობებისთვის უახლესი ისტორიის შეხსენება.**<br>26 მაისს დილის 11 საათიდან სეტის მოედანზე გაიმართება ღონისძიება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე მოწვეული მუსიკალური. ბენდი, კულტურული ღონისძიების პარალელურად სეტის სკვერში გაიმართება სპორტული ღონისძიებები მკლავჭიდსა და | II-კვარტალი | | | | | დირექტო<br>დირექტო<br>მოადგი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჭადრაკში. | | | | | | |
| 3 | 1 ივნისი ბავშთა საერთაშორისო დღე | 1-ლი ივნისი ,,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე'' თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება, რომლის მიზანია ბავშვთადაცვისპოლიტიკისდა ნერგვის, აღსრულებისადასრულყოფისხელშეწყობა, ბავშვთადაცვისმექანიზმებისგანვითარება, საზოგადოებაში ინტეგრაცია და ისეთისერვისებისხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომლებიცაუცილებელიაბავშვისნორმალურიზრდისადაგანვითარებისთვის,მსოფლიოსსაზოგადოებრივიაზრისმობილიზებაახალიომისსაშიშროებისაგანბავშვთადასაცავად, ზრუნვა მათიჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.<br>ამ დღეს იგეგმება მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბაზაზე საბავშვო სპექტაკლის დადგმა, გასართობი შოუ-პროგრამის ორგანიზება. | II-კვარტალი | | 2000 | | | დირექტო<br>დირექტო<br>მოადგი |
| 4 | 29 ივლისი „სვანეთობა" | **29 ივლისი ,,სვანეთობა''სეტის სკვერში მოეწყობა სვანური ტრადიციული სამზარეულო მესტიისმუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებიდან.სეტის მოედანზე ჩატარდებაკულტურული ღონისძიება ანსამბლ „რიჰო" ს, ჭუბერის, ნაკრის, ფარის, ეცერის, ლენჯერის** | III-კვარტალი | | | | | დირექტო<br>დირექტო<br>მოადგი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცხუმარის, ბეჩოსა და ლატალის ფოლკლორული ანსაბლების მონაწილეობით. ღონისძიების დასკვნით ნაწილს მუსიკალურად გააფორმებს მოწვეული მუსიკალურური ბენდი, ხოლო ღონისძიება დასრულდება გრანდიოზული ფოიერვერკით. | | | | | | |
| 5 | საახალწლო ღონისძიება | 31 დეკემბერს ტრადიციულად ჩატარდა ახალი 2023 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სახის შოუ პროგრამა, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული ანსამბლების მონაწილეობით, თოვლის ბაბუას საჩურებით, ელექტრონული მუსიკით და ფოიერვერკით. | IV-კვარტალი | | | | | დირექტო<br>დირექტო<br>მოადგი |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 02 03 | 05 02 კულტურის განვითარების ხელშეწყობა | კულტურის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 123.00 | 129.15 | 135.61 | 143.74 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა |
| ქვეპროგრამის აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია.<br>ორგანიზაციაში დასაქმებულია 7 თანამშრომელი,მათ შორის: 5-მამაკაცი, 2 - ქალბატონი,<br>2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტირება გაეწია 10 კულტურულ ძეგლს,<br>ერთი ეკლესიის პროექტირება და რეაბილიტაცია განხორციელდა.<br>მომდევნო წლისთვის იგეგმება 20 კულტურული ძეგლის პროექტირება. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა | 10 | 20 | 10 % მომსახურების ხარჯის ზრდა |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების გდაფინანსება | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული განვითარების ხელშეწყობა |

| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 251.00 | 263.55 | 276.73 | 293.33 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | **დ მესტიაში** მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა |
| პროგრამის აღწერა | ახალგაზრდების განვითარებისა ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. რაც ქმნის იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ხელშეწყობილი იქნას ახალგაზრდების პიროვნული, სოციალური, ინტელექტუალური და ღირებულებითი განვითარება, მხარდაჭერილი იქნას ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზება და უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<br>სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.<br>როდესაც ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათი ინტერესების გათვალისიწინებით მოქმედებს, მათი სოციალური პასუხიმგებლობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება, პიროვნული განვითარების დონე უმჯობესდება.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების მხარდაჭერის მიზნით, 2022 წელს მუნიციპალიტეტმა 76 სტუდენტს სწავლის საფასურის თანადაფინანსება გაუწია, ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიება, ,დაფინანსდა არქეოლოგიური კვლევები. საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი -ეტალონი და აშ<br>2023 წელსაც გრძელდება სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება მათ შორის: სტუდენტების თანადაფინანსება, „ეტალონი განათლება“, სასკოლო ოლიმპიადა, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების თანადაფინანსება,არქეოლოგიური ექსპედიცია, 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, ფესტივალი „ხალდეობა“, „გემო ფესტი“ და ა.შ |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი | **ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა** |

| **№** | **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2021 წელი | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | |
| 1 | დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა | 76 | 85 | 92 | 100 | 108 | 5% - პროგრამის ცნობადობის ნაკლებობა |
| 2 | ღონისძიებებში მონაწილეებს შორის კმაყოფილი ახალგაზრდების პროცენტულობა | **70** | 80 | | | | 10% ახალგაზრდების დაბალი ინტერესი |

| № | **2023 წელს დაგეგმილი ღონისძიების დასახელება** | **ღონისძიების აღწერა** | **განხორციელების პერიოდი** | **ხარჯთაღრიცხვა** | **ბიუჯეტი** | **პასუხისმგებელი პირი** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **პირველკურსელთა თანადაფინანსება** | მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა პირველკურსელს გაეწევა თანადაფინანსება 1500 ლარამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად | I-კვარტალი | | **120 000** | **მაიაკულტურის,ახალგაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ** |
| 2 | არქეოლოგიური ექსპედიცია | არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთის მასშტაბით ხორციელდება სასწავლო– სამეცნიერო ექსპედიციები, რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელსაც ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციაპროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით | II-კვარტალი | სპეციალისტების ჩამოყვანა,განთავსება,ხელსაწყოები, კვება და ა შ | 20 000 | კულტურის,ახალგაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| 3 | საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი- „ეტალონი“ | საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი ,,ეტალონი“ მე–8 წელია უწყვეტად | II-კვარტალი | საორგანიზაციო საკითხებში | 3000 | კულტურის,ახალგაზრდული საკითხების და სპორტის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | განაგრძობს მთელი საქართველოს მასშტაბით ნიჭიერი მამულიშვილი ახალგაზრდების აღმოჩენას და წახალისებას | | | | ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| 4 | საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების შეძენა | პროექტი ,,პირველკლასელთა აკადემია“ გათვლილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც მოიცავს აქტივობებს ბავშვის შემეცნების და აზროვნების განვითარებას. | II-კვარტალი | | 4800 | კულტურის,ახალ გაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| | ,,ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დაფინანსება“ | ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დაფინანსება-სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა | I-IVკვარტალი | ლეიკემიით დაავადებულთა კვება განთავსება,საჩუქრები | 6000 | კულტურის,ახალ გაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| | სასკოლო სპორტული ოლიმპიადა | საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელებს პროგრამას ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“–ს. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოს მასშტაბით მრავალი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალურ დონეზე თამაშების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. ოლიმპიადის თამაში შედგება 4 ეტაპისაგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალური და დასკვნითი თამაშები. აღნიშნულ აქტივობებში ყოველწლიურად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა | I-IVკვარტალი | სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება,ფორმები,ინვენტარი,კვება განთავსება | 8000 | კულტურის,ახალ გაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ახალგაზრდულ და სპორტულ საკითხებში |
| | „ბანაკებში ტრანსპორტირება“ | ახალგაზრდულ ბანაკებში ახალგაზრდების ტრანსპორტირება | I-IVკვარტალი | ტრანსპორტირება | 10500 | კულტურის,ახალ გაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| | სასკოლო საგანმანათლებლო | მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლებისთვის მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების | IV-კვარტალი | ტრანპორტირება | 3000 | კულტურის,ახალ გაზრდული |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტების თანადაფინანსება | შესაძლებლობების გაფართოება. სკოლების ჩართვა სხვადასხვა დამატებით აქტივობებში უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, ასევე აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. | | საჭიროებიდან გამომდინარე,ს აჩუქრები | | საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| | ბეჭდვა | ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები (სარეკლამო ბანერები,წიგნები) | IV-კვარტალი | ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა | 10000 | კულტურის,ახალ გაზრდული საკითხების და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის უფროსის მ/შ |
| | 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიადაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის" ბენეფიციარებს საჩუქრებსგადასცემს. | I-კვარტალი | ინდივიდუალ ური საჩუქრები | 2000 | მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში |
| | 28 აგვისტო ,,ხადეობა" | კალას ადმინისტრაციულ ერთეულში „ხალდეობის" დღესასწაული აღინიშნება. ადგილობრივი მზარეულების მიერ ტარდება სვანური კუბდარის ცხობის და სვანური სამზარეულოს მასტერ-კლასები.<br>აღნიშნულ ღონისძიებას ამშვენებს ანსმბლი ,,როჰო"-ს კონცერტი | III-კვარტალი | პროდუქტების, ინვენტარის და სხვა საჭირო მასალის შესყიდვა ღონისძიების ფარგლებში | 15000 | მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში |
| | გემო ფესტი მესტიაში. 13-14 იანვარი | გასტრონომიული მიმართულების განვითარება და ადგილობრივი სამზარეულოს დაგემოვნების შესაძლებლობა მოგზაურებისთვის დამატებითიმამოტივირებელიფაქტორიგახდებადა რეგიონებშიშიდადასაერთაშორისომოგზაურებისნაკ ადები გაიზრდება.<br>ტურიზმის ადმინისტრაცია ატარებს ღონისძიებას,მერია თანადაფინანსებით იღებს მონაწილეობას | I-კვარტალი | თანადაფინანსე ბა | 50000 | მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში |
| | ჯამი | | | | 252 300 | |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 04 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული განვითარების ხელშეწყობა |

| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 450.00 | 472.50 | 496.13 | 525.89 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზანი** | არსებული კულტურის და ხელოვნების დარგების შენარჩუნება, განვითარება, მოსახლეობის მაქსიმალური ჩრთულობა, ტურისტული პროდუქტის შექმნა და მომხმარებლებისათვის მიწოდება. |
| პროგრამის აღწერა | ა(ა)იპ – სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია ,,შანლანდი“ უზრუნველყოფს ტურისტული სეგმენტისთვის სვანეთის კულტურული და ტრადიციული პროდუქტების მიწოდებას, რაც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას აირჩიოს და გაეცნოს იმ ტურისტულ ადგილებს, პროდუქტებს, მიმართულებეს რაც მათთვის იქნება საინტერესო. ორგანიზაცია ატარებს საინფორმაციო აქტივობებს, იწვევს ინფლუენსერებს და მათი მეშვეობისთ სვანეთის ღირსშესანიშნაობებს აცნობს სხვა ქვეყნებს.<br>2022 წელს ჩატარდა თეთნულდის სათხილამურო კურორტზე საერთაშორისო შეჯიბრი ფრირაიდში,სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეული სპორტსმენები, სპორტული დელეგაციები, ინფლუენსერები, აღნიშნული ღონისძიება მრავალ სპორტულ არხზე გაშუქდა. ზაფხულის ჩატარდა HIGHLANDER, რომელიც განკუთვნილი იყო მძაფრიშეგრძნების და თავგადასავლების მოყვარული ადამიანებისთვის, ამ ღონისძიებაში ჩართული იყო მსოფლიოს თთქმის ყველა წარმომადგენელი, რაც ხელს უწყოფს სვანეთის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით. |

| | |
|---|---|
| საბოლოო შედეგი | ტურისტულ სექტორში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა, ხარისხიანი პროდუქციის შექმნა დამომხმარებლებისთვის მიწოდება. |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | | | 10% - მეტეოროლოგიური პირობები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა. |
| 2 | გამოფენებში მონაწილეობის მიღების რაოდენობა | | | | | | 20% - მომართვიანობის ცვლილება |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფასუფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| პროგრამისკლასიფიკაციისკოდი: | პროგრამისდასახელება | პრიორიტეტისდასახელება,რომლისფარგლებშიცხორციელდებაპროგრამა |
|---|---|---|
| 0601 | ჯანმრთელობის დაცვა | მოსახლეობის ჯანმრთელობისდაცვადასოციალურიუზრუნველყოფა |

| პროგრამისგანმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტისმერიისჯანმრთელობისადასოციალურიდაცვისსამსახური | პროგრამისბიუჯეტი | 2023წლის დაფინანსება(ლარი) | 2024წლის დაფინანსება(ლარი) | 2025წლის დაფინანსება(ლარი) | 2026წლის დაფინანსება(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 408.00 | 428.40 | 449.82 | 476.81 |

| | |
|---|---|
| პროგრამისმიზანი | მოსახლეობისსიცოცხლისგახანგრძლივებადაჯანმრთელობისმდგომარეობისგაუმჯობესება;ავადობისპრევენციადაშეზღუდულიშესაძლებლობისსტატუსისგანვითარებისრისკისშემცირება.ჯანმრთელობისდაცვისსერვისებზეხელმისაწვდომობისგაზრდა |
| პროგრამისაღწერა | მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.<br>მუნიციპალიტეტისპრიორიტეტსჯანმრთელობისდაცვისადასოციალურიუზრუნველყოფისმიმართულებითწარმოადგენსავადობისადასიკვდილიანობისძირითადიმიზეზებისპრევენცია,ასევეშესაძლებლობებისშეზღუდვისშემცირება,რაცსაზოგადოებისჯანმრთელობისგაუმჯობესებასადაცხოვრებისხარისხისამაღლებასშეუწყობსხელს.აღნიშნულისმიღწევაშესაძლებელიაჯანმრთელობისდაცვისპრიორიტეტშიგათვალისწინებულიქვეპროგრამებისმეშვეობით. |
| პროგრამისმოსალოდნელისაბოლოოშედეგი | გაზრდილიაჯანმრთელობისდაცვისსერვისებზეხელმისაწვდომობა,<br>უზრუნველყოფილიადაავადებათაადრეულიგამოვლენა,პრევენციადამკურნალობა |

| № | საბოლოოშედეგისშეფასებისინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილებისალბათობა(%/შესაძლორისკები-აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი2023წელი | მიზნობრივი2024წელი | მიზნობრივი2025 წელი | მიზნობრივი2026 წელი | |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა,რომელზეცვრცელდება ქვეპროგრამითგათვალისწინებულისერვიზები | | | | | | 5% - მომართვიანობის ცვლილება, |
| 2 | ბენეფიციართა რაოდენობა,რომელთაც დაავადებათაადრეული გამოვლენის დაპრევენციისმიზ | | | | | | 5% - მომართვიანობის ცვლილება, |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნით ჩაუტარდათ დიაგნოსტიკადა სკრინინგი | | | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ჯანმრთელობის დაცვა | | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0601 01 | | | | 80.60 | 84.63 | 89.71 | 80.60 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ააიპ მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | | | | |
| მიზანი | | მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;<br>ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ცენტრი ახორციელებს,მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის გადამდები და არაგადამდები დაავადების ეპიდზედამხედველობას ,კონტროლსა და პრევენციას; ერთიანი ლაბორატორიული სისტემის გამართული ფუნქციონერების მხარდაჭერას; ადამიანის ჯანმრთელობაზემოქმედი გარემოს საფრთხის შეფასებას; დღეის მდგომარეობით ვემსახურებით 14 სამედიცინო უბანს და რაიონულ საავადმყოფოს ,რომლებსაც ყოველთვიურად ხდება გატანა ვაქცინების. | | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | დაავადებების პრევენცია,<br>ავადმყოფობის გამოვლენის შემცირება. | | | | | |

| № | მოსალოდნელისაბოლოო შედეგისშეფასებისინდიკატორი | ინდიკატორისმაჩვენებლები<br>საბაზისო 2022წელი | მიზნობრივი2023წელი | ცდომილებისალბათობა(%/შესაძლორისკები-აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება | | | 10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაავადებათა ადრეული გამოვლენის და პრევენციის მიზნით ჩაუტარდათ დიაგნოსტიკა და სკრინინგი | | | 10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ჯანმრთელობის დაცვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 02 | | | | 408.00 | 428.40 | 449.82 | 476.81 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | შპს მესტიის საავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება | | | | | |
| მიზანი | | მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა | | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქირურგის დაქირავება,განთავსება.<br>მოგეხსენებათ მესტია გეოგრაფიულად საკმაოდ შორსაა ქალაქისგან და ამავე დროს არის ტურისტული ზონა,სადაც სათხილამურო სეზონია და ხშირი არის ტრავმირებული მოქალაქეების მიღების აუცილებლობა.<br>აქედან გამომდინარე აუცილებელია ადგილზე შეეძლოს მოსახლეობას ტრავმატოლოგის მომსახურების მიღება.<br>მერიამ გაითვალისწინა რა საკუთარი მოქალაქეების ინტერესი გამოყო თანხები აღნიშნულის დასაფინანსებლად. | | | | | |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | ტრავმირებული მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა. | | | | | |

| № | მოსალოდნელისაბოლოო შედეგისშეფასებისინდიკატორი | ინდიკატორისმაჩვენებლები | | ცდომილებისალბათობა(%/შესაძლორისკები-აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022წელი | მიზნობრივი2023წელი | |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება | | | 10% - მომართვიანობის ცვლილება, |

| პროგრამისკლასიფიკაციისკოდი: | პროგრამისდასახელება | პრიორიტეტისდასახელება,რომლისფარგლებშიცხორციელდებაპროგრამა |
|---|---|---|
| 0602 | მოსახლეობის სოციალურიუზრუნველყოფა | ჯანმრთელობისდაცვადასოციალურიუზრუნველყოფა |

| პროგრამისგანმახორციელებელი: | მუნიციპალიტეტისმერიისჯანმრთელობისადასოციალურიდაცვის სამსახური | პროგრამისბიუჯეტი | 2023წლის დაფინანსება(ლარი) | 2024წლის დაფინანსება(ლარი) | 2025წლის დაფინანსება(ლარი) | 2026წლის დაფინანსება(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 660.00 | 693.00 | 727.65 | 771.31 |

| | |
|---|---|
| **პროგრამისმიზანი** | საზოგადოებისცალკეულიკატეგორიებისსოციალურიპირობებისგაუმჯობესებადამუნიციპალურდაკომუნალურსერვისებზეხელმისაწვდომობისგაზრდა |
| **პროგრამისაღწერა** | მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა თანასწორობის უზრუნველყოფა.<br>პროგრამა მიმართულიასოციალურადდაუცველიოჯახების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის/ბავშვებისთვის , ხდება მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.საზოგადოებისმოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების ხარჯების დასაფარად ერთჯერადი დახმარების გაწევა. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა.<br>ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის უხუცესები) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა.<br>პროგრამის ფარგლებში ხდება შემდეგი კატეგორიების დაფინანსება: ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები, ასევე ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოლკვლევების თანადაფინანსება და ასევე სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა სადიაგნოსტიკო/თერაპიული მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება. კ |
| **პროგრამისმოსალოდნელისაბოლოოშედეგი** | გაუმჯობესებული სოციალურად დაუცველის,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების , დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა,<br>გაზრდილია ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა |

| № | საბოლოო შედეგისშეფასებისინდიკატორი | ინდიკატორისმაჩვენებლები | | | | | ცდომილებისალბათობა(%/შესაძლორისკები-აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2021წელი | მიზნობრივი2022წელი | მიზნობრივი2023წელი | მიზნობრივი2024წელი | მიზნობრივი2025წელი | |
| 1 | სოციალურისერვისებისმიმღებ ბენეფიციართარაოდენობა | 923 | 960 | 900 | 900 | 920 | 10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობისდაბალიდონე |
| 2 | სოციალური შეღავათებისსერვისებისრაოდენობა | 0 | | | | | 10%- მომართვიანობისცვლილება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მატერიალური დახმარებისმიმღებ ბენეფიციართარაოდ ენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 % - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობისდ აბალიდონე |

| პროგრამისკლასიფიკა ციისკოდი: | პროგრამისდასახელება | პრიორიტეტისდასახელება,რომლისფარგლებშიცხორციელდ ებაპროგრამა |
|---|---|---|
| 0603 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | ჯანმრთელობისდაცვადასოციალურიუზრუნველყოფა |

| პროგრამისგანმა ხორციელებელი: | მუნიციპალიტეტისმერიისჯანმრთელობისად ასოციალურიდაცვის სამსახური | პროგრამისბიუჯე ტი | 2023წლის დაფინანსე ბა(ლარი) | 2024წლის დაფინანსე ბა(ლარი) | 2025წლის დაფინანსე ბა(ლარი) | 2026წლის დაფინანსე ბა(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 100.00 | 105.00 | 110.25 | 116.87 |

| | |
|---|---|
| პროგრამისმიზანი | აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევა მათთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. |
| პროგრამისაღწერა | **პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.** |
| პროგრამისმოსალოდნ ელისაბოლოოშედ ეგი | სტიქიით და ხანძრის შედეგად დაზარალებულების მხარდაჭერა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ინდიკატორისმაჩვენებ | |

| № | საბოლოო შედეგისშეფასები სინდიკატორი | ლები | | | | | ცდომილებისალბათობა(%/შესაძლორისკები-აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022წელი | მიზნობრივი2023წელი | მიზნობრივი2024წელი | მიზნობრივი2025წელი | მიზნობრივი2026წელი | |
| 1 | პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილ მიმღებ ბენეფიციართარაოდენობა | | | | | | 10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობისდაბალიდონე |

| პროგრამის კლასიფიკაციისკოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 06 04 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

| პროგრამის განმახორციელებელი: | მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 55.00 | 57.75 | 60.64 | 64.28 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის დახმარება და სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომსია შეისწავლის მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობას, სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება და უპირატესობა მიენიჭება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ვეტერანებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, მათ არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა მიხედვით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში , მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუშენებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ სახლს. საცხოვრებელი სახლის ფართობი განისაზღვრება სულადობის მიხედვით. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | უსახლკაროდ დაჩენილი სოციალურად დაუცველი ოჯახის სახლკარით უზრუნველყოფა |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები -აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივ ი2023 წელი | მიზნობრივ ი2024 წელი | მიზნობრივ ი2025 წელი | მიზნობრივ ი2026 წელი | |
| 1 | საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილ ი ბენეფიციალთა რაოდენობა1 | 1 | 2 | 3 | 3 | | 10% - მომართვიანობის ცვლილება, ინფორმირებულობის დაბალი დონე |

| კოდი | პროგრამის დასახელება | 06 05 | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00 00 | | | 80 | 103 | 103 | 103 | 103 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის | | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მოხდეს დროული ინტერვენცია. შინ მოვლის სერვისი გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საქთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას. |

**პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები (აქ უნდა აღვწეროთ თითოეული პროგრამა/ქვეპროგრამა და შესაბამის ღონისძიებები)**

1. ქვეპროგრამის დასახელება

| |
|---|
| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა* |
| **პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**<br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება |
| 00 00 კოდის დასახელება |
| ქვეპროგრამის დასახელება: |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრი | | | | | |
| | | | | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა** | არა | | | | |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | | | | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**ერთად რეალური ცვლილებებისათვის | | | | | |
| | | | | | |
| **დაფინანსების წყარო** | | | | | |
| დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 67515 | 67515 | 67515 | 67515 | 67515 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 67515 | 67515 | 67515 | 67515 | 67515 |
| ქვე პროგრამის მიზანი აღწერა<br><br>6-დან 18 წლამდე ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისთვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებაში ფუნქციონირების ყოველდღიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი. | | | | | |
| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების დასახელება** | პროდუქტები 2023 წლისთვის | | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
| | რაოდენობა | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| ბენეფიციართა კვება | | | | **5940** | საქონელი და მომსახურება |
| ბენეფიციარების ტრანსპორტირება | | | | **9900** | საქონელი და მომსახურება |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | | | **41195** | შრომის ანაზღაურება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კომუნალური ხარჯი | | | | **10480** | სხვა ხარჯი |
| სულ | | | | **67515** | |
| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებეის განხორციელების დროითი გეგმა** | | | | | |
| **დასახელება** | **1 კვარტალი** | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** | |
| სპეც. პედაგოგის მომსახურება | X | X | X | X | |
| ფსიქოლოგის მომსახურება | X | X | X | X | |
| მეტყველების თერაპევტის მომსახურება | X | X | X | X | |
| რეაბილიტოლოგის მომსახურება | X | X | X | X | |
| ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა | X | X | X | X | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)**

- ბენეფიციართა სოციალიზაცია
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- ფუნქციური და თვითმოვლის უნარ-ჩვევების განვითარება
- დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარება
- ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება
- ფსიქო ემოციური მხარდაჭერა
- ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი

*ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება

00 00 კოდის დასახელება

**ქვეპროგრამის დასახელება:**
ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის და ზრდასრულთა რეაბილიტაციის სერვისი

| | |
|---|---|
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა** | არა |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | |

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**ერთად რეალური ცვლილებებისათვის

**დაფინანსების წყარო**

| დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 7040 | 7040 | 7040 | 7040 | 7040 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 7040 | 7040 | 7040 | 7040 | 7040 |

ქვე პროგრამის მიზანი აღწერა

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ზრდასრულთა (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას.

| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების დასახელება** | პროდუქტები 2023 წლისთვის | | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | | | **7040** | შრომის ანაზღაურება |
| სულ | | | | **7040** | |

**ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელების დროითი გეგმა**

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| რეაბილიტოლოგის მომსახურება | X | X | X | X |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)**

- ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება
- ფუნქციური უნარების განვითარება
- ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი

*ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება

00 00 კოდის დასახელება

**ქვეპროგრამის დასახელება:**
შინმოვლის სერვისი

| | |
|---|---|
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა** | არა |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ერთად რეალური ცვლილებებისათვის | | | | | |
| | | | | | |
| **დაფინანსების წყარო** | | | | | |
| დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 5445 | 28445 | 28445 | 28445 | 28445 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 5445 | 28445 | 28445 | 28445 | 28445 |

ქვე პროგრამის მიზანი აღწერა

შინმოვლის სერვისი გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, ამასთანავე პირველადი კვების პაკეტებითა ან/და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას.

| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების დასახელება** | პროდუქტები 2023 წლისთვის | | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | | | **10395** | შრომის ანაზღაურება |
| ჰიგიენური საშუალებები | | | | **3910** | საქონელი და მომსახურება |
| ბენეფიციარების კვება | | | | **10840** | საქონელი და მომსახურება |
| ტრანსპორტირება | | | | **3300** | საქონელი და მომსახურება |
| სულ ჯამი | | | | **28445** | |

| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიეების განხორციელების დროითი გეგმა** | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დასახელება** | **1 კვარტალი** | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** |
| ექთნის მომსახურება (ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის | X | X | X | X |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მონიტორინგი) | | | | |
| ბენეფიციარის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა) | X | X | X | X |
| | | | | |
| | | | | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)**

- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება
- ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება
- ბენეფიციარის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა)

***ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა***

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება

**00 00 კოდის დასახელება**

**ქვეპროგრამის დასახელება:**
ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი

| | |
|---|---|
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა** | არა |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | |

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** ერთად რეალური ცვლილებებისათვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| **დაფინანსების წყარო** | | | | | |
| დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | |
| სხვა …… | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

ქვე პროგრამის მიზანი აღწერა

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისიგულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში.

| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების დასახელება** | პროდუქტები 2023 წლისთვის | | | | ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) | |
| ადრეული ინტერვენციის სპეციალისტების ვიზიტები ბუნებრივ გარემოში | | | | **0** | შრომის ანაზღაურება |
| | | | | | |
| სულ | | | | **0** | |

| **ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებეის განხორციელების დროითი გეგმა** | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დასახელება** | **1 კვარტალი** | **2 კვარტალი** | **3 კვარტალი** | **4 კვარტალი** |
| ბავშვის განვითარების ნებისმიერი სფეროს დაყოვნებისა და/ან შესაბამისი რისკის მქონე ბავშვების დროული იდენტიფიცირება და ინტერვენცია | X | X | X | X |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

| |
|---|
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)<br>• ბავშვის განვითარების ნებისმიერი სფეროს დაყოვნებისა და/ან შესაბამისი რისკის მქონე ბავშვების დროული იდენტიფიცირება და ინტერვენცია |
| |

2. ა(ა)იპ-ის ადმინისტრირება

ადმინისტრირება მოიცავს ა(ა)იპ ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობას, მათ შორის შრომის ანაზღაურების გაცემა თანამშრომლებისათვის, კომუნალური გადასახადების გადახდა, სხვა სამეურნეო საქმიანობა.

| | |
|---|---|
| *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*<br>**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**<br>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება | |
| | |
| **ქვეპროგრამის დასახელება:** | |
| | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა** | |
| **თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?** | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:** | |
| ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის | |
| **დაფინანსების წყარო** | |

| დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 80000 | 103000 | 103000 | 103000 | 103000 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | | | |
| სხვა ...... | | | | | |
| **სულ ქვეპროგრამა** | 80000 | 103000 | 103000 | 103000 | 103000 |

ქვეპროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მოხდეს დროული ინტერვენცია.

| **ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასახელება** | **პროდუქტები 2023 წლისთვის** | | | **ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი** |
|---|---|---|---|---|
| | **რაოდენობა** | **ერთ. საშ. ფასი** | **სულ (ლარი)** | |
| ბენეფიციართა კვება | | | **16780** | საქონელი და მომსახურება |
| ბენეფიციარების ტრანსპორტირება | | | **9900** | საქონელი და მომსახურება |
| თანამშრომლების ანაზღაურება | | | **58630** | შრომის ანაზღაურება |
| კომუნალური ხარჯი | | | **10480** | სხვა ხარჯი |
| ჰიგიენური საშუალებები | | | **3910** | საქონელი და მომსახურება |
| ტრანსპორტირება | | | **3300** | საქონელი და მომსახურება |
| | | | | |
| სულ ჯამი | | | **103000** | |

**ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელების დროითი გეგმა**

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრისადმინისტრირება | X | X | X | X |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი)**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრისგამართული ფუნქციონირება

**შეფასებისინდიკატორები**

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა | 44 | 48 | 48 | 54 | 54 | 60 | რაოდენობრივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეტყველების თერაპიები | 385 | 550 | 550 | 825 | 825 | 1320 | ხარისხობრივი |
| ქცევის მართვის სპეციალისტის თერაპიები | 385 | 550 | 550 | 825 | 825 | 1320 | ხარისხობრივი |
| თერაპიული მომსახურებების რაოდენობრივი ზრდა | 770 | 1100 | 1100 | 1650 | 1650 | 2640 | ხარისხობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | 2022 საბაზისო | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება | | 3 | 5 | 5 | 6 | | ხარისხობრივი |
| ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა | 44 | 45 | 45 | 50 | 50 | | რაოდენობრივი |

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 06 06 | ბავშთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

| პროგრამის განმახორციელებელი: | მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 15.00 | 15.75 | 16.54 | 17.53 |

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზანი** | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.<br>• კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება |

## 3.6 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა,სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

| ორგკოდი | | 2023წელი | 2024წელი | 2025წელი | 2026წელი |
|---|---|---|---|---|---|
| **01 00** | მმართველობადასაერთოდანიშნულებისხარჯები | 7,183.27 | 7,542.43 | 7,919.56 | 8,394.73 |
| **01 01** | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1,452.80 | 1,525.44 | 1,601.71 | 1,697.81 |
| **01 02** | მესტიის მუნიციპალიტეტისმერია | 5,032.50 | 5,284.13 | 5,548.33 | 5,881.23 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 300.00 | 315.00 | 330.75 | 350.60 |
| 01 04 | მუნიციპალიტეტისმ.გ.ფ-ისადასხვავალდბულებებისდაფარვა | 353.97 | 371.67 | 390.25 | 413.67 |
| 01 05 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 118.4 | 118.40 | 124.32 | 131.78 |

| კოდი | წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | | **7,183.27** | **7,542.43** | **7,919.56** | **8,394.73** |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, და ა(ა)იპ-ების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა. | | | | |

| | |
|---|---|
| | სამსახურების წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, მერიის სისტემაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მივლინების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალიტეტებთან გამოცდილების გაზიარება.<br><br>საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებების საფინანსო სისტემის გაუმჯობესებისათვის განხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით მერიის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის დახვეწა, საჭირო ცვლილებების შეტანა/პროგრამული უზრუნველყოფა, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევროს გადასახადი და სხვა. |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მუნიციპალური სამსახრების ეფექტური მუშაობა, ეფეტური გაუმჯობესდება საჯარო ფინანსების და აქტივების მართვა. |